პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
ოთხშაბათი
17
ნოემბერი
№ 271
(16701)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია გაიხსნება 1976 წლის 19 ნოემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია ტაბელების გაცემა მოეწყობა 17 და 18 ნოემბერს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. ოთახები: № 1, № 4. ტელეფონები: 99-08-54, 99-58-19, 99-56-18.

19 ნოემბერს რეგისტრაცია იწყობოს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1976 წლის 19 ნოემბერს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

მეგობრული ვიზიტით იუგოსლავიაში

15 ნოემბერს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ, იუგოსლავიის მარშალმა ი. ბროზ ტიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, საბჭოთა კავშირის მარშალს ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო ჯილდო — თავისუფლების ორდენი. ს ურ ა თ ზ ე: ორდენის გადაცემის დროს.

საპრესო-საინფორმაციო ტელეფოტო.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს თავისუფლების ორდენი გადაეცა

15 ნოემბერს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ, იუგოსლავიის მარშალმა ი. ბროზ ტიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, საბჭოთა კავშირის მარშალს ლ. ი. ბრეჟნევს გადასცა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო ჯილდო— თავისუფლების ორდენი.

ამხანაგებმა ი. ბროზ ტიტომ და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვები წარმოთქვეს.

ამხანაგ ი. ბროზ ტიტოს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ!

წელად მხვდა სასიამოვნო მოვალეობა თქვენს მესამოცდათე წლისთავთან დაკავშირებით გადმოგცეთ იუგოსლავიის ჯილდო— თავისუფლების ორდენი ჩვენი საერთო მტრის — ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თქვენი დამსახურებისათვის.

იუგოსლავიის ხალხები დიდად აფასებენ თქვენს მეცადინეობას ხალხებისა და სახელმწიფოების მშვიდობისა და ყოველმხრივი კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის ბრძოლაში და განსაკუთრებით თქვენს პირად წვლილს იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა თანამშრომლობის განვითარებასა და მეგობრობის განმტკიცებაში.

საბჭოთა კავშირის ხალხებმა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კაცობრობისათვის უდიდესი განსაცდელის ჟამს უმძიმესი მსხვერპლი გაიღეს და გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს საერთო მტერზე გამარჯვებაში. საბჭოთა ხალხის ამ გმირული ეპოპეის ბერიოდში თქვენ, ამხანაგო ბრეჟნევ, როგორც წითელარმიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უჩვენებდით პირადი მამაცობისა და თავდადების მაგალითს და უდიდეს როლს ასრულებდით ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

იუგოსლავიის ხალხები ისევე გაფასებენ თქვენ, ამხანაგო ბრეჟნევ, როგორც გამოჩენილ ხელმძღვანელს, რომელიც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა ხალხს, და თავის ფიზიკურ და ინტელექტუალურ ძალებს არ იშურებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ყოველმხრივი განვითარებისა და აყვავებისათვის.

ჩვენ კარგად ვიცით ავრეთვე, თუ რა უდიდეს როლს ასრულებთ საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში. ჩვენი ხალხი თქვენ გიცნობთ როგორც ადამიანსა და მოქალაქეს, რომელიც ძალ-ონისა და ენერგიას არ იშურებს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. სწორედ ამ მოიხვეჭეთ თქვენ დიდი ავტორიტეტი და აღიარება მთელ მსოფლიოში.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის თანამშრომლობა, იმის მეოხებით, რომ ცნობილი პრინციპებით ვითარდება, ღღეს ძალიან კარგი, განვითარებული და ურთიერთსასარგებლოა. ვსარგებლობ ამ შემთხვევითაც და მინდა აღვნიშნო, ამხანაგო ბრეჟნევ, რომ უაღრესად დიდად ვაფასებთ თქვენს წვლილს ურთიერთგაგებისა და გულახდილობის ატმოსფეროს შექმნაში, რომელიც ახასიათებდა და ახასიათებს ჩვენს ურთიერთობას.

ძვირფასო ამხანაგო ბრეჟნევ! გადმოგცემთ რა ამ საპატიო ჯილდოს, მე და ჩემი ამხანაგები უაღრესად გულთბილად გიღოცავთ, გისურვებთ ჯანმრთელობას და შემდგომ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ მოღვაწეობაში თქვენი მშვენიერი და დიადი სოციალისტური ქვეყნის საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სოციალიზმის, ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების შემდგომი განვითარების საკეთილდღეოდ.

სამაუწყებლო სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ტიტო!

ძვირფასო იუგოსლავო მეგობრებო!

დიდი მადლიერების გრძნობით ვიღებ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლეს სამხედრო ჯილდოს — თავისუფლების ორდენს და მადლობას მოვახსენებ ამხანაგ ტიტოს ჩემზე ნათქვამი კეთილი სიტყვებისათვის.

ამ ამაღელვებელ მომენტში თვალწინ დამიდგა ფაშიზმთან ბრძოლის მძიმე წლები. მაშინ, როცა ანტიჰიტლერული კოალიციის ყველა მონაწილესთან ერთად სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევებით ძლიერ და საშიშ მტერს, ჩვენი ქვეყნების ხალხები გმირულად იბრძოდნენ თავიანთი თავისუფლებისათვის, ევროპის თავისუფლებისათვის, კაცობრიობის თავისუფლებისათვის.

საბჭოთა ადამიანებს კარგად ახსოვთ და იციან, თუ რა არის უეიცის რესპუბლიკა, რას მოსწყვეტდნენ ნერტეტვა, სუტეესკა, კოზარა. იუგოსლავიის კომუნისტურმა პარტიამ, რომელსაც მეხი გამოჩენილი ხელმძღვანელი, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო ედგა სათავეში, ფეხზე დააყენა მთელი ხალხი აგრესორთა წინააღმდეგ საბრძოლველად. იუგოსლავიის მთელი მიწა-წყალი ბრძოლის ველად გადაიქცა და ეს ბრძოლა, მედგარი ბრძოლა, წლების მანძილზე გრძელდებოდა, დაღუპულ მეომართა აღგილს ახალ-ახალი გმირები იკავებდნენ. იმ წლების ქარცეცხლში მიიღო ნათლობა სოციალისტურმა იუგოსლავიამ.

მაგრამ მინდა სხვა ამბავიც მოგახსენოთ. თქვენს ბრძოლას, ამხანაგებო, არა მარტო ნაციონალური, არამედ დიდი ინტერნაციონალური მნიშვნელობაც ჰქონდა. ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, ეს იყო საგრძნობი მხარდაჭერა ტიტანურ ბრძოლებში, რომლებიც ჩვენი ქვეყნის, მერე კი ევროპის ველებზე ჩაღდებოდა, ბრძოლებში, რომლებიც ფაშისტ დამპყრობთა სრული განადგურებით დაგვირგვინდა.

დარტყმები, მტერს რომ მოსკოვთან, ვოლგაზე, კურსკის რკალზე ვაგემეთ, იუგოსლავ მებრძოლთა გაბედულ მოქმედებას ერწყმოდა, რომლებიც სულს არ ათქმევინებდნენ ოკუპანტებს. და განა სამბოლოური არ არის, რომ ბელგრადის სასახელო ოპერაციაში ოცდათორმეტი წლის წინათ იუგოსლავი და საბჭოთა მეომრები ერთმანეთის მხარდამხარ უტევდნენ ფაშისტთა პოზიციებს, რათა თავისუფლება დაუბრუნებინათ თქვენი ქალაქისათვის.

ომის გაკვეთილი — ეს ყურადსაღები გაკვეთილია. იგი გვასწავლის არ დავიშუროთ ძალ-ონე და ვიბრძოლოთ, რათა აღარ განმეორდეს წარსულის ტრაგედია, რათა ჩვენი პლანეტის მშვიდობიანი ცა მეწამულისფრად არ შეღებოს ახალი მსოფლიო ხანძრის ალმა. და ჩვენ გვიხარეს, რომ მშვიდობისათვის, სიმედო და მტკიცე მშვიდობისათვის დიად ბრძოლაში საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია დღეს ერთმანეთს მხარდამხარ მოქმედებენ.

განვლილმა ათწლეულებმა საკმაოდ გვაჩვენა, თუ როგორ უნდა ვიფასებდეთ და აუფრთხილდებოდეთ ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრობას. და როგორც კომუნისტებს, ჩვენ დიდ კმაყოფილებას გვანიჭებს ის ამბავი, რომ ჩვენი პარტიის მარქსისტულ-ლენინური იდეალებით მოგონებული ქვეყნები და ხალხები მჭიდროდ თანამშრომლობენ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში.

ჩვენი ქვეყნები თავად თავისუფალნი არიან და თანამიმდევრულად ილტვიან ყველა ხალხის, ყოველი ქვეყნის თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარების უფლებისათვის, მტკიცედ იბრძვიან იმის მისაღწევად, რომ გარდაიქმნას საერთაშორისო ურთიერთობა თანასწორობის და სამართლიანობის საფუძველზე. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ ვიყვნით და ვართ იმ ინტერნაციონალისტური იდეალების ერთგულნი, ფრთას რომ გვასხამდა უმძიმეს ბრძოლაში ჰიტლერელი აგრესორების წინააღმდეგ.

მსოფლიო განუწყვეტლივ და სწრაფად იცვლება. მაგრამ ისეთი ღირებულებები, როგორიც არის სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელი ხალხების მეგობრობა და ამხანაგური ურთიერთდახმარება, არათუ ინარჩუნებს მთელ თავის მნიშვნელობას, არამედ ახალი, უფრო მეტი ფასიც ენიჭება. და ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყეტილი, ძვირფასო ამხანაგებო, რომ თქვენთან ერთად თანამიმდევრულად ვიაროთ წინ იმ ძმური კავშირის განვითარების გზით, როგორც ადიდ ხანი დაამყარა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხები.

მაშ კვლავაც მტკიცდებოდეს და ყვაოდეს ჩვენი ქვეყნების ხალხთა ძმობა და მეგობრობა!

დე მტკიცდებოდეს საბჭოთა და იუგოსლავი კომუნისტების ინტერნაციონალისტური სოლიდარობა!

კიდევ ერთხელ გულითად მადლობას მოგახსენებთ, ძვირფასო მეგობრებო.

ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს ანუქა მისი პორტრეტი, რომლის ავტორია ცნობილი საბჭოთა მხატვარი ილია გლაზუნოვი.

* * *

ამხანაგების ი. ბროზ ტიტოსა და ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს ხანგრძლივი ტაშით შეეგებნენ.

იუგოსლავმა და საბჭოთა პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა, რომლებიც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისათვის თავისუფლების ორდენს გადაეცემის ესწრებოდნენ, გულითადად მოფლოცეს ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო ჯილდო და უსურვეს შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განსამტკიცებლად, კაცობრობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის საკეთილდღეოდ. (საკ-დესი).

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება

15 ნოემბერს ბელგრადში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს სახვიმო ვიზიტარებაში გადაეცა ქალაქ ბელგრადის სამახსოვრო ოქროს medალი.

ამის გამო საპატიო საბჭოთა სტუმარს რეზიდენციაში ეახლა იუგოსლავიის დედაქალაქის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდნენ ბელგრადის სკუპშჩინის თავმჯდომარე ჟ. კოვაჩევიჩი და ბელგრადის კომუნისტთა კავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე დ. გლიგორიევიჩი. დელეგაცია გულთბილად მიესალმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ბელგრადის მცხოვრებთა სახელით.

ჩვენ ვიცით, თქვა ჟ. კოვაჩევიჩმა, მიმართა რა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რომ თქვენი ვიზიტი ხანმოკლეა, მაგრამ თქვენ მაინც გამონახავთ დროს, რომ გაეცნოთ ბელგრადს და დარწმუნდეთ, რომ ჩვენი ქალაქი ნანგრევებიდან აღდგა. აღდგა ქალაქი, რომლის განთავისუფლებასაც სიცოცხლე შესწირეს, როგორც იუგოსლავმა მებრძოლებმა, ისე საბჭოთა არმიის მეომრებმა.

ჟ. კოვაჩევიჩი შეეხო იუგოსლავიის დედაქალაქის სამრეწველო და კულტურულ მშენებლობას, აღნიშნა, რომ ბელგრადელებს სურთ განამტკიცონ მეგობრობა და ამხანაგურ ურთიერთდახმარება ამხანაგურ ურთიერთობა ყველა ადამიანთან, იბრძოლონ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

ბელგრადელები, თქვა დასასრულ ჟ. კოვაჩევიჩმა, სიხარულით მოგესალმებიან თქვენ, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლს.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ბელგრადის სკუპშჩინის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს ქალაქის სამახსოვრო ოქროს medალი გადასცა.

საპასუხო სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

ოთხმეტი წლის წინათ დიდი პატივი დამდეს, როცა ქალაქ ბელგრადის მოქალაქის საპატიო წოდება მომანიჭეს და შესაბამისი დიპლომი გადმომცეს. ეს პატივი ჩვენი პარტიისა და ქვეყნების მზარდი მეგობრობის ნიშნად მივიჩნიე და ვცდილობდი მისი ღირსი ვყოფილიყავი.

ახლა გადმომცეს თქვენი დედაქალაქის საპატიო მოქალაქის ოქროს medალი. მაშ, თქვენი აზრით, გამიმართლება გაწეული ნდობა!

ბელგრადის საპატიო ნიშნით დაჯილდოება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის წარმატებული განვითარების კიდევ ერთ დადასტურებად მიმაჩნია. ჩვენ საბჭოთა კავშირში ამ მეგობრობას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა იგი წლითიწლობით სულ უფრო ღრმავდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყნების ხალხთა, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის საკეთილდღეოდ.

ერთხელ კიდევ დიდ მადლობას მოგახსენებთ, ამხანაგებო! თქვენს მშვენიერ ქალაქსა და მის ყველა მცხოვრებს ვუსურვებ კეთილდღეობას, ბედნიერებასა და წარმატებებს ყველა სასიკეთო საქმეში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ეელი სსრ კავშირში ა. სმოლე.

* * *

16 ნოემბერს ბელგრადში გრძელდებოდა მოლაპარაკება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარეს ი. ბროზ ტიტოს შორის.

* * *

16 ნოემბერს ნაშუადღევს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ი. ბროზ ტიტომ ბელგრადის მახლობლად მდებარე დობანოვცის ქალაქგარეთა რეზიდენციაში მეგობრული საუბარი გამართეს. საუბარი მიმდინარეობდა გულიდან ვითარებაში, ტრადიციული გულახდილობისა და ნდობის სულისკვეთებით.

(საკ-დესი).

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გადაეცა ჰაილაჰ ბელგრადის სამახსოვრო medალი

15 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს სახვიმო ვიზიტარებაში გადაეცა ქალაქ ბელგრადის სამახსოვრო ოქროს medალი.

ამის გამო საპატიო საბჭოთა სტუმარს რეზიდენციაში ეახლა იუგოსლავიის დედაქალაქის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდნენ ბელგრადის სკუპშჩინის თავმჯდომარე ჟ. კოვაჩევიჩი და ბელგრადის კომუნისტთა კავშირის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე დ. გლიგორიევიჩი. დელეგაცია გულთბილად მიესალმა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ბელგრადის მცხოვრებთა სახელით.

ჩვენ ვიცით, თქვა ჟ. კოვაჩევიჩმა, მიმართა რა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რომ თქვენი ვიზიტი ხანმოკლეა, მაგრამ თქვენ მაინც გამონახავთ დროს, რომ გაეცნოთ ბელგრადს და დარწმუნდეთ, რომ ჩვენი ქალაქი ნანგრევებიდან აღდგა. აღდგა ქალაქი, რომლის განთავისუფლებასაც სიცოცხლე შესწირეს, როგორც იუგოსლავმა მებრძოლებმა, ისე საბჭოთა არმიის მეომრებმა.

ჟ. კოვაჩევიჩი შეეხო იუგოსლავიის დედაქალაქის სამრეწველო და კულტურულ მშენებლობას, აღნიშნა, რომ ბელგრადელებს სურთ განამტკიცონ მეგობრობა და ამხანაგურ ურთიერთდახმარება ყველა ადამიანთან, იბრძოლონ მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

ბელგრადელები, თქვა დასასრულ ჟ. კოვაჩევიჩმა, სიხარულით მოგესალმებიან თქვენ, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მებრძოლს.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ბელგრადის სკუპშჩინის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს ქალაქის სამახსოვრო medალი გადასცა.

საპასუხო სიტყვაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

ოთხმეტი წლის წინათ დიდი პატივი დამდეს, როცა ქალაქ ბელგრადის მოქალაქის საპატიო წოდება მომანიჭეს და შესაბამისი დიპლომი გადმომცეს. ეს პატივი ჩვენი პარტიისა და ქვეყნების მზარდი მეგობრობის ნიშნად მივიჩნიე და ვცდილობდი მისი ღირსი ვყოფილიყავი.

ახლა გადმომცეს თქვენი დედაქალაქის საპატიო მოქალაქის medალი. მაშ, თქვენი აზრით, გამიმართლება გაწეული ნდობა!

ბელგრადის საპატიო ნიშნით დაჯილდოება საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის წარმატებული განვითარების კიდევ ერთ დადასტურებად მიმაჩნია. ჩვენ საბჭოთა კავშირში ამ მეგობრობას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა იგი წლითიწლობით სულ უფრო ღრმავდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყნების ხალხთა, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის საკეთილდღეოდ.

ერთხელ კიდევ დიდ მადლობას მოგახსენებთ, ამხანაგებო! თქვენს მშვენიერ ქალაქსა და მის ყველა მცხოვრებს ვუსურვებ კეთილდღეობას, ბედნიერებასა და წარმატებებს ყველა სასიკეთო საქმეში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ა. სმოლე, სხვა იუგოსლავი ამხანაგები, ბელგრადში ჩამოსული საბჭოთა ოფიციალური პირები. (საკ-დესი).

საპაჭიო სჭუმრის პაჭივსაცემად

15 ნოემბერს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარემ ი. ბროზ ტიტომ საკავშირო ალმასრულებელი კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს.

ამხანაგებთან ლ. ი. ბრეჟნევთან და ი. ბროზ ტიტოსთან ერთად ვახშმად იყვნენ მათი თანმხლები ოფიციალური პირნი, იუგოსლავიის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

ვახშმის დროს ამხანაგებმა ი. ბროზ ტიტომ და ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვეს სიტყვები, რომლებიც დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს, ხშირად გაისმოდა ტაში.

ამხანაგ ი. ბროზ ტიტოს სიტყვა

პატივცემული ამხანაგო ბრეჟნევ!

ნება მიბოძეთ, გულითადად მოგესალმოთ ყველა აქ დამსწრეს სახელით, ჩემი თანამშრომლებისა და პირადად ჩემი სახელით. ვსარგებლობ ამ შემთხვევით და ყველს გისურვებთ სასიამოვნო სტუმრობას ჩვენს ქვეყანაში, სულითა და გულით გეუბნებით „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“.

მეტად კმაყოფილი ვარ, რომ კვლავ გვეძლევა შესაძლებლობა ერთმანეთს გავუზიაროთ აზრი ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის, მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში ურთიერთობის განვითარების შესახებ.

ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს თქვენი ქვეყნის განვითარებას. გვახარებს თქვენი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში, საბჭოთა კავშირის ხალხთა უფრო ბედნიერი და უკეთესი მომავლის შექმნაში.

იუგოსლავიაში ჩვენც დიდ შედეგებს მივაღწიეთ ყველა დარგში. ამჟამად უაღრესად ფართოდ ვაჩაღებთ საქმიანობას, რათა განვახორციელოთ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის X ყრილობის გადაწყვეტილებანი და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია. ჩვენ უკვე გადავწყვეტეთ ეკონომიური განვითარების ბევრი აქტუალური საკითხი და მნიშვნელოვნად განვამტკიცეთ სოციალისტური თვითმმართველობის მატერიალური საფუძველი. განუწყვეტლივ უმჯობესდება ჩვენი მშრომელების ცხოვრების პირობები. გაერთიანებული შრომის კანონი, რომელიც უახლოეს დღეებში უნდა დამტკიცოს იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშინამ, დიდი ნაბიჯია ჩვენი საზოგადოებრივ-ეკონომიური სისტემის განვითარების გზაზე.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი — ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელთა ავანგარდი — სულ უფრო მტკიცდება და ვითარდება როგორც სოციალისტური თვითმმართველობის განვითარების ძირითადი მამოძრავებელი და წარმმართველი ძალა. იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი სულ უფრო მტკიცდება როგორც ჩვენი ერებისა და ეროვნებების ერთიანობისა და თანასწორუფლებიანობის უბადლო ფაქტორი, როგორც ჩვენი სოციალისტური თვითმართული თანამეგობრობის სტაბილურობის ფაქტორი.

ამხანაგო ბრეჟნევ!

ჩვენს ორ სოციალისტურ ქვეყანას შორის უკვე მრავალი წელია წარმატებით ვითარდება ყოვლისმხრივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა ეკონომიურ, პოლიტიკურ, სამეცნიერო, კულტურულ და სხვა დარგებში. ამას მნიშვნელოვნად უწყობდნენ ხელს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომლებიც აფართოებენ ორმხრივ თანამშრომლობას და განაგრძობენ ყველა აქტუალური საკითხის კონსტრუქციულ და გულახდილ განხილვას. განსაკუთრებით ვიფასებთ თქვენს პირად წვლილს ორმხრივი თანამშრომლობის დადებითი განვითარების საქმეში. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იუგოსლავიის ხალხებსა და ხელმძღვანელობას გულწრფელად ზეიმიათ განვითარორ მეგობრული, ყოველმხრივი და სტაბილური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. დარწმუნებული ვარ, თქვენ, ამხანაგო ბრეჟნევ, იზიარებთ ჩემს აზრს, რომ საამისოდ კარგი პირობები გვაქვს.

იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის განვითარებული და სტაბილური ურთიერთობა არა მარტო ჩვენი ორი ქვეყნის ხალხებს სჭირდება, არამედ მას გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს. ასეთ ურთიერთობას კონკრეტული წვლილი შეაქვს მშვიდობისათვის ბრძოლაში, აქტიურ მშვიდობიან თანაარსებობაში, საზოგადოებრივ განვითარებასა და სოციალიზმში. და ჩვენი ახლანდელი შეხვედრა აუცილებლად შემდგომი ნაბიჯი იქნება იმ ერთობლივ ღონისძიებებში, რომ ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო შინაარსიანი, ურთიერთობა კი უფრო მტკიცე გახდეს.

ერთად მიღებული პრინციპების — ჩვენი ქვეყნებისა და პარტიების დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, თანასწორუფლებიანობის, ჩაურევლობის, სამნიადო განვითარების გზების ნაირგვარობისა და საერთაშორისო მდგომარეობის თავისებურებათა პატიცისცემის აღიარება მკვიდრი და ურყევი საფუძველია, რომელზეც ჩვენი თანამშრომლობა ვითარდება. ამ პრინციპებს შეიცავს ბელგრადის 1955 წლის დეკლარაცია და მოსკოვის 1956 წლის განცხადება, 1971 წლის განცხადება და იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის სხვა ერთობლივი დოკუმენტები.

ამ დოკუმენტების არსებითი მნიშვნელობა პრაქტიკამ დაადასტურა და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მათი თანამიმდევრული განხორციელება სწორედ ჩვენი ორი ქვეყნის ყოველმხრივი თანამშრომლობის წარმატებით განვითარების, ჩვენი ურთიერთთაგებისა და ნდობის საუკეთესო გარანტია.

ამხანაგებო!

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანია ხალხთა ურყევი მისწრაფება ცხოვრობდნენ მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პირობებში, დამოუკიდებლად განაგებდნენ თავიანთ ეროვნულ სიმდიდრეს და თავიანთი შრომის შედეგებს, „ვარედან ჩაურევლად ამუნებდნენ თავიანთ უკეთეს მომავალს. ამაბოლოს ამბიცია და აფრიკის ხალხთა ისტორიული გამარჯვებანი, პროგრესული საზოგადოებრივი ინსტიტუტები და დემოკრატიული ძალებისა და ტენდენციების განმტკიცება მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში.

ახლა სოციალიზმი მსოფლიო პროცესია, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს საერთაშორისო ცხოვრების ყველა სფეროზე.

საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი მსოფლიოში ასეთი განვითარების შემადგენელი ნაწილია. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირმა გვიჩვენა, რომ მეწავე საერთაშორისო პრობლემები შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ მოლაპარაკების გზით და სახელმწიფოთა ყოველმხრივი მშვიდობიანი და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარების გზით. თანამედროვე მსოფლიოს სხვა არჩევანი არა აქვს.

საერთაშორისო ვითარება ამჟამად ჯერ კიდევ ვერ არის ისეთი, რომ ჩვენ კმაყოფილი ვიყოთ. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს, რათა ყველა ხალხს ჰქონდეს უზრუნველყოფილი მშვიდობა, ცხოვრება თავისუფლებისა და ღირსების პირობებში, რადგან დაძაბულობის შენელების არსებულ პირობებშიც არ წყდება ძალის პოლიტიკის გამოყენება, სხვათა სამინაო საქმეებში ჩარევა, იქმნება კრიზიების ახალი კერები, ძლიერდება გამალებული შეიარაღება იმპერიალიზმის, ნეოკოლონიალიზმის ძალებისა და ბატონობის ზეგავლენა და არ წყდება გამოსვლები ხალხთა მისწრაფების — თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარებისადმი მისწრაფების ჩახშობაზე.

ყოველივე ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების საქმეს. ასეთ პირობებში განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის, მთელი პროგრესული და დემოკრატიული ძალების აქტიური გამოსვლები იმ პრობლემების სამართლიანი და სტაბილური გადაწყვეტისათვის ბრძოლაში, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობისა და კონფლიქტების მიზეზია, თანასწორუფლებიანი საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობისათვის ბრძოლაში. ამ მიზნების განხორციელებაში დიდი როლი განეკუთვნებათ და დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოციალისტურ, მიუმხრობელ და სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს, მსოფლიოს მთელ პროგრესულ და დემოკრატიულ ძალებს.

იუგოსლავია დიდად არის დაინტერესებული, რომ თანამიმდევრულად და სრულად ხორციელდებოდეს ჰელსინკის თათბირის გადაწყვეტილებანი. ჩვენი აზრით, ყველაფერი არ გაკეთებულა ამ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ამისათვის საჭირო იქნება თათბირის ყველა მონაწილის ახალი მეცადინეობა და კონკრეტული ღონისძიებანი. გაისად აქ, ბელგ-

(დასასრული მე-3 გვ.)

ამხანაგ ი. ბროზ ტიტოს სიტყვა

პატივცემული ამხანაგო ბრეჟნევ!

ნება მიბოძეთ, გულითადად მოგესალმოთ ყველა აქ დამსწრეს სახელით, ჩემი თანამშრომლებისა და პირადად ჩემი სახელით. ვსარგებლობ ამ შემთხვევით და ყველს გისურვებთ სასიამოვნო სტუმრობას ჩვენს ქვეყანაში, სულითა და გულით გეუბნებით „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“.

მეტად კმაყოფილი ვარ, რომ კვლავ გვეძლევა შესაძლებლობა ერთმანეთს გავუზიაროთ აზრი ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის, მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში

საპატიო სტუმრის პატივსაცემად

(დასასრული)

რადაში, გაიმართება შეხვედრა, რომელზეც განვიხილავთ თათბირის გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგებს და ამ გზაზე შექმნილ სიძნელეებს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჰელსინკის თათბირის გადაწყვეტილებათა განხორციელებას და ჩვენს კონტინენტზე და ხმელთაშუა ზღვის რაიონში მშვიდობის, უშიშროებისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განმტკიცებას. გამალებულად შეიარაღება, სამწუხაროდ, ძლიერდება და მძიმე ტვირთად აწევს ყველა ხალხს.

საჭიროა გადამწყვეტი შემობრუნება საყოველთაო და სრული განიარაღების მიმართულებით. ყოველთვის მიგვაჩნია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციი შეუცვლელი თორაშია, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მსოფლიო პრობლემები. მათ შორის ევროპიარების პრობლემაც. ამიტომ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ მოეწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის იენერალური ასამბლეის სპეციალური სესია განიარაღების თაობაზე.

სოციალისტური იუგოსლავია, რომელიც განუხრელად ადგას მიუმხრობლობის-პოლიტიკას, აქაამად ერთობ აქტიურად მონაწილეობს მიუმხრობელი ქვეყნების კოლეგიის კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. მიუმხრობელმა ქვეყნებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მშვიდობისათვის, უშიშროებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ყველა ქვეყნის თავისუფალი საზოგადოებრივი განვითარებისთვის, კოლონიური, ნეოკოლონიური და სხვა სახეობათა ბატონობისაგან ხალხთა განთავისუფლებისათვის, საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის საქმეს. კოლობრის კონფერენციამ, რომელიც კონსტრუქციულად მიუდგა თანამედროვე მსოფლიოს დიდი პრობლემების გადაწყვეტას, ცხადყო და დადასტურა, რომ მიუმხრობლობის მოძრაობის როლი, ძალა და ერთიანობა სულ უფრო იზრდება და რომ იგი საერთაშორისო ურთიერთობის საარსებო მნიშვნელობის საკითხთა გადაწყვეტის დამოუკიდებელი და უბადლო ფაქტორი ხდება.

ხალხთა ბრძოლა მშვიდობის, უშიშროებისა და თანასწორუფლებიანი საერთაშორისო თანამშრომლობისათვის განუყრელად უკავშირდება ბრძოლას პროგრესული საზოგადოებრივი გარდაქმნისა და სოციალიზმისათვის. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობა ღრმა სოციალური მეცნიერებითა და კლასობრივი ბრძოლით არის გამსჭვალული. ასეთ პირობებში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება რევოლუციურ პარტიათა და მოძრაობათა, აგრეთვე მთელი მოწინავე და დემოკრატიული ძალების თანამშრომლობისა და სოლიდარობის საკითხს. სულ უფრო მტკიცდება იმის შეგნება, რომ მთელი ამ ძალების ურთიერთობას შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ დამოუკიდებლობის, თავისთავადობის, თანასწორუფლებიანობის, ჩაურევლობის, მუშათა კლასისა და ხალხის წინაშე პასუხისმგებლობის პრინციპები. ამიტომ, ჩვენი აზრით, ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციაა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ეს დიდი პოლიტიკური მოვლენა მნიშვნელოვანი წვლილია ევროპის მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და საზოგადოებრივი პროგრესის, ჩვენი კონტინენტის კომუნისტური და მუშათა პარტიების და მთელი პროგრესული და დემოკრატიული ძალების დემოკრატიულ საფუძველზე შემდგომი განვითარების საქმეში.

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ, დასასრულ დღეგრძელობა ვუსურვო ჩვენს პატივცემულ და ძვირფას სტუმარს ამხანაგ ბრეჟნევს. ვადღეგრძელო მისი თანამშრომლები, ბედნიერება და კეთილდღეობა ვუსურვო საბჭოთა ხალხს, ვადღეგრძელო იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ყოველმხრივი მეგობრული თანამშრომლობა, სოციალიზმი და მთელი მსოფლიოს მშვიდობა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო ტიტო!

ძვირფასო ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა მინდა გულითადი მადლობა გადავიხადოთ გულთბილი მასპინძლობისათვის, რომელიც სოციალისტური იუგოსლავიის დედაქალაქში, ბელგრადში გამიწიეთ. მადლობას მოვახსენებ ამხანაგ ტიტოს მოწვევისა და მისი დღევანდელი სიტყვისათვის, რომელიც ქეთილი გრძნობებითა და საბჭოთა ხალხთა-იუგოსლავიის თანამშრომლობის მტკიცე განვითარების ღრმა დაინტერესებით არის გამსჭვალული.

ამ დინტერესებას მთლიანად იზიარებენ ჩვენი პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი. როგორც მოგეხსენებათ, იუგოსლავიასთან მეგობრობის განმტკიცების კურსი დაადასტურა XXV ყრილობამ და ჩვენ თანამიმდევრულად ვახორციელებთ მას.

მე კარგად მახსოვს წინანდელი შეხვედრები ამხანაგ ტიტოსთან, რომელთანაც დიდი ხნის კეთილი ურთიერთობა მაკავშირებს. ბელგრადსა და მოსკოვში, კიევსა და, ამ ცოტა ხნის წინ, ბერლინში ყოველთვის ვპოულობდით განსახილველი პრობლემების გადაწყვეტის კარგ გზებს, ყველა წამოჭრილ საკითხზე ვიწყობდით კარგ, ნაყოფიერ აზრთა გაზიარებას ურთიერთპატივისცემისა და ამხანაგობის სულისკვეთებით. ვფიქრობ, გაუზვიადებლად შეიძლება თქვას, რომ ასეთი შეხვედრები ხელს უწყობს ჩვენი პარტიების ურთიერთგაგების გაფართოებას, სხვადასხვა დარგში საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის გაღრმავებას. დარწმუნებული ვარ, კვლავაც ასე იქნება.

ჩვენ სოლიდური საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ვიაროთ წინ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრული ურთიერთობის განვითარების გზით. ეს საფუძველია თანამშრომლობის ახლანდელი შეტად მაღალი დონე, სხვადასხვა დარგში ურთიერთმოქმედების შეძენილი გამოცდილება, თანასწორუფლებიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის ერთგულება, რაც შეხამებულია ინტერნაციონალისტურ მიდგომასთან, ორივე ქვეყნის საარსებო ინტერესების უფრადღებით გათვალისწინებასთან.

საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიაში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის გზები ზოგიერთი ასპექტით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ისეთ ძირეულ საკითხებში, როგორიც არის მუშათა კლასისა და ყველა შრომელის ავანგარდის — კომუნისტური პარტიის წამყვანი როლი და სოციალისტური დემოკრატიის განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მშრომელთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, თქვენცა და ჩვენც ვიმყარებთ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებს. სწორედ ეს არის ის ნიადაგი, რომელშიც ღრმად აქვს ფესვი გადგმული ჩვენი პარტიების, ჩვენი ხალხების მზარდ მეგობრობას.

ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრული თანამშრომლობის განვითარებაში უკვე ბევრს მივაღწიეთ. გასულ ხუთწლეულში საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის საქონელბრუნვის მოცულობა გაორკეცდა. მან შეადგინა ექვსი მილიარდი დოლარი — საკმაოდ დიდი თანხა. დაწყებულ ხუთწლეულში კი ჩვენი საქონელბრუნვა კვლავ გაიზრდება ერთიორად და მეტად. გემმშენებლობა და გამოსათხელი მანქანების წარმოება, ავტომობილმშენებლობა და მსუბუქი ინდუსტრია, მშენებლობა და სოფლის მეურნეობა — აი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ნაყოფიერი კავშირურთიერთობის არასრული სია. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ეს ურთიერთობა ემყარება როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ საფუძველს, ხორციელდება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის ფარგლებში.

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის კარდინალურ საკითხებში საბჭოთა კავშირი და იუგოსლავია ერთნაირ, ან დაახლოებულ პოზიციებს იდგანან.

ჩვენი ქვეყანა მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებთან, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე მოკავშირეებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით ყოველ ღონეს ხმარობს, რომ დაამკვიდროს ყველა სახელმწიფოს გონივრული, მშვიდობიანი ურთიერთობა, მათი საზოგადოებრივი წყობიერების გაანსხვავების მიუხედავად, რომ აღგვმის აგრესორები, შეიენელოს, პერსპექტივანი კი აღკვეთოს ახალი მსოფლიო ომის საფრთხე, მზარი დაეჭიროს ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სამართლიან საქმეს. იუგოსლავია, როგორც სოციალისტური ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს მიუმხრობლობის მოძრაობაში, რომელიც ასევე იბრძვის მშვიდობისა და თანასწორუფლებიანი მშვიდობიანი თანამშრომლობის დასაცავად, საერთაშორისო საქმეებში იმპერიალისტური დიქტატისა და თვითნებობის წინააღმდეგ.

დარწმუნებული ვართ, რომ სოციალისტურ ქვეყნებსა და მიუმხრობლობის მოძრაობას შორის თანამშრომლობის გაფართოება ეფექტიანად შეუწყობს ხელს იმას, რომ კაცობრიობის ხვალინდელ დღეს არ ემუქრებოდეს თერმონატომური ომის საფრთხე, იმპერიალიზმის ცდები, როგორც მოეპრიანება, ისე განაგებდეს ხალხთა ბედ-იღბალს და თავს აჩვენდეს მათ თავის ნებას. და იუგოსლავიას, რა თქმა უნდა, შეუძლია საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანოს მოვლენათა ასეთ განვითარებაში.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ხალხთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობა ახლაც კარგად ვითარდება ყველა დარგში და კარგი პერსპექტივებიც აქვს. ეს, ვფიქრობ, მხოლოდ მისასალმებელია.

ამავე დროს, უკანასკნელ ხანს დასავლეთში ზოგან მოდად იქცა ჩვენი კეთილი ურთიერთობის თაობაზე და სრულიად უაზრო ჭორების დაყრა ამ ურთიერთობის თაობაზე. ამგვარი ზღაპრების ავტორები ცდილობენ იუგოსლავია წარმოსახონ საბრალო, უმწეო წოლიერად. რომელსაც გაგლეჯავა და შესანსვლას უპირებს საშინელი მტაცებელი მგელი — აგრესიული საბჭოთა კავშირი.

არ ვიცი, რა უფრო მეტია ამ მონაჭორებში, — იმ პრინციპების აბსოლუტური გაუგებრობა, რომლებზეც სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთობაა დამყარებული, თუ ცინიკური იმედი, ხალხს ყოველგვარ სიცრუეს დააჯერებ, თუ საკმაოდ დიდხანს უჩიჩინე.

ჩვენი ქვეყნების მტრებს მიერ შეკოწწეწებული ამ „საკითხის“ სრული გარკვევის მიზნით მინდა ვისარგებლო იმ შემთხვევით, რომ ჩვენ ერთად შევიკრიბენით აქ მეგობრულ წრეში, და გითხრათ შემდეგი:

იუგოსლავიასთან ურთიერთობისადმი თავის მიდგომაში საბჭოთა კავშირი ურყევად ხელმძღვანელობს იმ მისწრაფებით, რომ განამტკიცოს და განავითაროს მასთან მეგობრული ურთიერთობა სრული თანასწორუფლებიანობის, ერთმანეთის პატივისცემისა და საქმეებში ჩაურევლობის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში აბსოლუტური ჩაურევლობის საფუძველზე. გვინდა განვავითაროთ ეს ურთიერთობა ჩვენი საერთო საქმის — მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის სასარგებლოდ.

მინდა დავძინო, რომ იუგოსლავიასთან ჩვენს ურთიერთობას, რა თქმა უნდა, სულაც არ განსაზღვრავს მარტო კონკრეტულობისა და ურთიერთსარგებლობის ცნებები. არა, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის მიმართ ჩვენს გრძნობებს საფუძვლად უდევს ავრეთვე სხვა, არანაკლებ დიდმნიშვნელოვანი ფაქტორები. ეს არის ჩვენი ხალხების ღრმა, კეთილი განწყობილებისა და მეგობრობის ისტორიული, საუკუნოვანი ტრადიციები. ეს არის ხსოვნა მათი საბრძოლო ძმობისა, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ ერთობლივ გმირულ ბრძოლაში დაფრცილი. ეს ასეთი ძალა შედეგია.

და, ბოლოს, ცხადია, — ეს არის ჩვენი, როგორც კომუნისტების, როგორც სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქეების ინტერნაციონალიზმი. ჩვენ გასოლდარობთ თქვენ, ისევე როგორც სხვა მომძე ქვეყნებს, და სულითა და გულით გისურვებთ, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გარშემო შეკავშირებულმა და ერთიანმა თქვენმა ქვეყანამ, მტკიცედ და წარმატებით იაროს მისა ხალხის მიერ არჩეული სოციალისტური გზით. ჩვენს შესაძლებლობათა ფარგლებში მზად ვართ ამხანაგურად შევუწყოთ ხელი ხალხებს, რომლებიც ახალ საზოგადოებას აშენებენ, და, ჩვენი მხრივ, დიდად ვიფასებთ დახმარებასა და მხარდაჭერას, რომლებსაც ჩვენ გვიწევენ.

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ და გულწრფელად გვახარებს თქვენი მიღწევები სოციალისტურ შენებლობაში, აყვავებას ვუსურვებთ იუგოსლავიის ყველა რესპუბლიკას — ბოსნიასა და ჰერცეგოვინას, მაკედონიას, სერბიას, სლოვენიას, ხორვატიასა და ჩერნოგორიას. ვუსურვებთ იუგოსლავ შრომელებს სრულ წარმატებას იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის X ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ბედნიერებას ვუსურვებ მთელ იუგოსლავ ხალხს!

ასეთია, ამხანაგებო, ძირითადად ჩვენი მიდგომა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ჩვენი სახელმწიფოსა და მთელი საბჭოთა ხალხის მიდგომა სოციალისტურ იუგოსლავიასთან ურთიერთობისადმი. ჩვენ გვინდა კვლავაც განვამტკიცოთ და განვავითაროთ ასეთი ურთიერთობა მასთან. თე ეს „აგრესიაა“, მაშ ჩვენც „აგრესორები“ ყოფილვართ — და გულწრფელად ვალიარებთ ამას!

გთავაზობთ სადღეგრძელოს — გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის შემდგომ განმტკიცებას!

ვადღეგრძელებ იუგოსლავიის კომუნისტთა გამოჩენილ ხელმძღვანელს, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ტიტოს!

კიდევ უფრო განმტკიცებული იყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ძმური თანამშრომლობა!

ახალი გამარჯვებები მოეპოვებინოს მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის საქმეს!

ვახშმის შემდეგ, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, გაიმართა იუგოსლავიის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. (საკდესი).

16 ნოემბერი

„კრავდის“ ფურცლებზე

დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრულ ვიზიტს იუგოსლავიაში.

რუბრიკით — **„კომუნისტები განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებს“** გაზეთი აქვეყნებს ინობებს ადგილებიდან („ბოქმედების სახელმძღვანელო“).

წლევანდელი წელი, სკკპ XXV ყრილობის წელი, დიდი გამოფენებით აღინიშნა. ისინი ქვეყნის მხატვართა, საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში მათ მიღწეულთა ნამდვილი დათვალიერება გახდა.

ამჟამად მოსკოვის ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში მოწყობილი გამოფენა **„ლენინგრადის სახვითი ხელოვნება“** — ეს არის ფუნჯისა და საჭრეთლის ოსტატთა დიდი რაზმის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მხატვართა IV ყრილობისადმი, რომელიც გუშინ გაიხსნა.

„პრავდის“ კორესპონდენტის ვ. ერიომინის თხოვნით ამ ექსპოზიციის შესახებ თვალიანი შთაბეჭდილებებს გაზეთის მკითხველს უზიარებენ საბჭოთა სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო ოსტატები: **ნ. ტომსკი, ნ. პონომარიოვი, ბ. უგაროვი, დ. ნალბანდიანი.**

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

დავამკვიდროთ მუშაობის ლენინური სტილი

ალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურჯაანის რაიონის პარტიული

ვიმუშაოთ პერსპექტივით

ბევრჯერ მოგვისმენია სხვადასხვა გამონათქვამი ციფრების თაობაზე, ერთნი ამბობენ, ციფრებთან ლაპარაკი მოსაწყენიაო, მეორენი კი მაშინვე შეედავებიან: ციფრებიც არის და ციფრებიც, გაარჩინა მათში რა შეაარსია ჩატეული, რას მოგვითხრობენ ისინი.

და როცა ჩვენი მიღწევების, წინსვლის, ზრდის კონკრეტულ ციფრებსა და ფაქტებს დავასახელებთ ხოლმე, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ტრაბახის გუნებაზე ვართ. იგი იმიტომ გვეპრიდება, რომ ყოველთვის ზუსტი სათვალავი და ანგარიში გვქონდეს, რომ ვიცოდეთ როგორ დაგეგეგმოთ ჩვენი პერსპექტიული მუშაობა, რა ძალა, რა საშუალებანი გაგვაჩნია, **რასაც თურმე წლების მანძილზე ვერ ვიყენებდით და ვერ ვიფახებდით.**

ზუსტი ანგარიში, გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებისათვის შუდმივი ძიება, მონდომება, შეტი ინიციატივა და პასუხისმგებლობა — აი რას მოითხოვს პარტია დღეს თვითეული თავისი რგოლისაგან, თვითეული კოლმეურნისაგან, ყველა მშრომელისაგან.

ყოველივე ეს ამ ბოლო წლებში სწორად იქნა გაგებული გურჯაანის რაიონშიც, სადაც, ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება ითქვას, **რომ ზოგ რამეში ნიმბომისებური წინსვლაც ჩანს.**

დავიწყოთ ვენახით.

თუ 1960 წლიდან 1973 წლამდე ყოველწლიურად გენახი მხოლოდ 200-300 ჰექტარზე შენდებოდა, მარტო წელს 2.000 ჰექტარი შენდება.

1971 წელთან შედარებით მარშინ უურძნის საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 23 ცენტნერით გაიზარდა და მან 73 ცენტნერი შეადგინა, ზოგ მეურნეობაში კი იგი 115-116 ცენტნერს აღემატებოდა.

ახლა ხორცის შესახებ!

თუ 1972 წელს საზოგადოებრივმა მეურნეობებმა 1.100 ტონაზე ნაკლები ხორცი აწარმოეს და ყოველ ცენტნერი საშუალოდ 210 მანეთამდე დაუჯდათ, მარშინ, ხუთწლეულის ბოლო წელს, უკვე 2.517 ტონა ხორცი მიიღეს და ერთიორად გაიაფეს მისი თვითღირებულება.

ასეთი ციფრები შეიძლება დავასახელოთ სხვა დარგებიდანაც. ცხადია, ზოგიერთ მაჩვენებელზე ქვემოთაც გვექნება საუბარი.

მაგრამ რა არის ამ და სხვა წარმატებათა სათავე? რა მიგვანიშნა ჩვენ, გურჯაანელ კომუნისტებს, მთელი ხალეთის წყაროდ?

ეს კონკრეტული პარტიული ხელმძღვანელობაა, რასაც ყოველდღიურად ვგრძნობთ მთელს ჩვენს ცხოვრებაში, პრაქტიკულ საქმიანობაში.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას დროზე წამოიშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

რა მოხდებოდა, **რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს არ გაემახვილებინა ყურადღება ამაზე, რომ ეს დადგენილება მარტო თბილისის პარტიულ ორგანიზაციას არ ეკუთვნოდა და რომ მისმა აღნიშნულ მთელ ტიკ ფარეგვებისა და დამახინჯებებს ადგილი ჰქონდა მთლიანად ჩვენს რესპუბლიკაში?!**

დაეკარგავდით ძალზე ბევრს, და საერთოდ, ჩვენს ეკონომიკასა და კულტურულ ცხოვრებაში ამ ბოლო წლებს მანძილზე მიღწეული სასახარულო შედეგები, რაც შეჯამებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში, ბუნებრივია, არ გვექნებოდა.

პარტიის გურჯაანის რაიკომი, მისი აქტივი ცდილობს ისწავლოს ჩვენი რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, რომელიც ღრმად და მეცნიერულად სწვდება თვითეული ოლქის, ქალაქის, რაიონის ცხოვრებას, შეგვწევდეს უნარი იმისა, რომ **საერთო დოკუმენტებიდან, დადგენილებებიდან, მთითებებიდან გამოიტანოს კონკრეტული დასკვნები, სწორად გაიაზროს, თუ რის გაკეთება შეუძლია მას სხვა პარტიული კომიტეტის მუშაობის თაობაზე დასახული ღონისძიებებიდანაც.**

რეზერვები? რამდენიც გნებავთ!

უეჭველია დღეს რაიმე საქმისადმი გულგრილი იყო. ჩვენი საზოგადოებრივი ატმოსფეროს გამოჯანსაღებელმა ღონისძიებებმა, ჩვენი ყოფის, ცხოვრების, შრომის **ყველა უბანზე პარტიული** და **სახელმწიფო** დისციპლინის **განმტკიცებისათვის, მუშაობის ლენინური** სტილის **დამკვიდრებისათვის** საქართველოს **კომპარტიის** ცენტრალური **კომიტეტის ხელმძღვანელობით ამ ბოლო** ოთხ **წელიწადში გაწეულმა ბრძოლამ თავისი შედეგები** გამოიღო.

მე არ ვაპირებ ყველა ამ სიკეთის ჩამოთვლას, რაც ამ ბოლო ხანს გურჯაანელმა მშრომელმა კაცმა მიიღო. მინდა ვთქვა მხოლოდ ერთ შესანიშნავ თვისებაზე, რაც თანდათან უვითარდებათ არა მარტო ჩვენს პარტიულ და სამეურნეო კადრებს, არამედ რიგით კომუნისტებსაც, რიგით ადამიანებსაც — ეს არის მიღწეულით დაუმაყოფილებლობის გრძნობა.

სწორედ ეს გრძნობა, **პერსპექტივით მუშაობის** განწყობილება ხელს **უწყობს** ინიციატივიანი, **გონივრული** აზრის **დაბადებას, ინიასკენ** სწრაფვას, **რომ** რაც **შეიძ**ლება **მაქსიმალურად** გამოიყენონ ეკონომიკის **განვითარების** მდიდარი **რეზერვები** და **საშუალებანი.** ასეთი **კი ჩვენთან,** მართლაც ბევრია.

მოდით, თუნდაც რეზერვები ჯერ **მეველნახეობაში,** ანუ **როგორც ამბობენ, რაიონისათვის ამ წიმყვანი დარგში ვეძიოთ...**

ეკონომიკურ

ახლ მატულობს ვენახის ფართობი



ტონობით

ახლ იზრდება ხორცის წარმოება



ეფემია ლაშაურელი,
საქართველოს კომპარტიის გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.

□

ვენახების უხარისხო გაშენება, დიდი მეჩხერიანობა, ინოტაკენური ღონისძიებათა სიღარიბე, შრომის ცუდი ორგანიზაცია და დისციპლინა — ყოველივე ეს ხელს უშლიდა მაღალი მოსავლის მიღებას. აი ერთი მაგალითი: მეცხრე ხუთწლეულის პირველ წლებში საზოგადოებრივი ზვრების მეჩხერიანობა 26-27 პროცენტს აღწევდა, ხოლო ზოგ მეურნეობაში მისი მაჩვენებელი 35-40 პროცენტზეც მეტი იყო. ყურძნის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 50 ცენტნერს არ აღემატებოდა. ეს კი გამრჯე მევენახეს გულს უტეხდა.

ამ სამი წლის წინათ პარტიის რაიკომში პარტიულ-სამეურნეო აქტივის წარმომადგენლებთან, სპეციალისტებთან ერთად ვიფიქრეთ და ვიანგარიშეთ, თუ როგორ, რა საშუალებებით შეიძლება მივაღწიოთ მევენახეობაში მაქსიმალურ ეფექტიანობას.

ერთერთ რეზერვად ვენახების მეჩხერიანობის აღკვეთა მივიჩნიეთ. საამისოდ შევიმუშავეთ სპეციალური ღონისძიებები, მთავარი კი თვითეული მევენახის ხალისი და ენთუზიაზმი იყო, მათი დაინტერესება ამ საქმით. ორგანიზატორულმა და დარწმუნებითმა მუშაობამ, მატერიალური და მორალური სტიმულების ეფექტიანად გამოყენებამ ჯარი შეიყვანა მოიტანა. საზოგადოებრივ მეურნეობებში ვენახების მეჩხერიანობა 1971 წელთან შედარებით სანახევროდ შემცირდა — იგი 17 პროცენტამდე დაიყვანეს.

ცოტას როდი ნიშნავს, რომ უფრო ხარისხიანად ვაშენოთ ახალი ვენახები. დაინერგა ისეთი სიახლეები, როგორიცაა ელექტროსტატიფიკაციის მეთოდით ვაზის მყნობა და პიღრობუტრით ვენახის გაშენება.

ამოქმედდა კიდევ ერთი რეზერვი. ეს არის ახალი ვენახების გაშენებისათვის სათანადო მატერიალური ბაზის მომზადება. მკვეთრად გაუადიდეთ სანერგე მეურნეობების წარმოდობა, ჩვენ ახლა მხოლოდ საკუთარ ნერგს ვიყენებთ.

გადაეწყვიტეთ: უზრუნველყოთ სამრეწველო მევენახეობის მძლავრი ნახტომი ისე, რომ მეათე ხუთწლეულის ბოლოსათვის ვაწარმოოთ 130-140 ათასი ტონა ყურძენი, ხოლო საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 100-120 ცენტნერი შეადგინოს; ვიგულისხმოთ ვენახის ფართობი ამ ანგარიშით, რომ მან მეათე ხუთწლეულის ბოლოს მთლიანად 13.050 ჰექტარს მიაღწიოს.

თუ მთლიანად მეცხრე ხუთწლეულში სულ 3.160 ჰექტარი ახალი ვენახი გაშენდა, მარტო წელიწადში — მეათე ხუთწლეულის პირველ წელს ორი ათასი ჰექტარის გაშენება არის განზრახული.

უფრო მაღალი ტემპია აღებული ე. წ. ულაბა მხრის კოლმეურნეობებში. მაგალითად, თუ 1973 წელს მელაანის კოლმეურნეობას 102 ჰექტარი ვენახი ჰქონდა, წლიურს მან 174 ჰექტარს მიაღწია, ხოლო 1980 წლისათვის 481 ჰექტარი ვენახი იქნება. ამ ხუთწლეულში ორმაგად და მეტად იზრდება ვენახის ფართობი კაჯრეთის კოლმეურნეობაში, ხოლო სამმაგად და უფრო მეტად არაშენდის კოლმეურნეობაში.

რას ვემუარებით, როცა ახეთ სწრაფ ტემპს ვიღებთ?

— რეალურ საფუძველს, მოწინავეთა გამოცდილებას, არსებულ რეზერვებს. ჩვენ უკვე მიწაც გამოვნახეთ და საჭირო რესურსებიც. ამა გაოავნეოდოთ, რამდენი ჰექტარი მიწა ცდება ახლა ჭნისპირებზე, ბუჩქნარებით და ეკალბარდებით რომ დაფარულა. ეს რომ დადანგარიშეთ, მარტო ამ ფართობებზე შეიძლება **2.000 ჰექტარი ახალი ვენახის გაშენება.** დავიანგარიშეთ და უკვე ვაშენებთ კიდეც. გამოუყენებელი მიწები სხვაც ბევრია, რომლებიც უნდა გავაკულტუროთ და სოფლის მეურნეობის სამსახურში სწრაფად ჩავაყენოთ.

დიახ, ჩვენი რაიონის კომუნისტები აცხადებენ **საყოველთაო ლაშქრობას** მევენახეობის სწრაფი **განვითარებისათვის,** მისი სწრაფი ინტენსიფიკაციისათვის: აგროტექნიკური **სამუშაოებს ყველგან** მოაწყობენ მოწინავეთა გამოცდილებისა და მეცნიერების უახლესი მიღწევების მიხედვით, ეფექტიანად გამოიყენებენ მინერალურ სასუქებს და სარწყავ წყალს, შექანიზაციის ფართოდ დანერგვით მინიმუმამდე შეამცირებენ ხელით შრომას, კიდევ უფრო **გააფართოებენ** საკუთარ სანერგე **მეურნეობებს.**

ჩვენი კურსია სპეციალიზაცია

როცა სიახლეებზე ვამბობთ, პირველ რიგში იგი ეხება მეცხოველეობას, მისი სწრაფი განვითარებისათვის ზრუნვას. და ეს ხდება აქ იმ ვარაუდით, რომ ამ პროცესმა კი არ დაჩრდილოს მევენახეობა, პირიქით, ხელი შეუწყოს კიდევაც მის შემდგომ წინსვლას.

მემკვიდრეობა კი ამ დარგში ძალიან მძიმე იყო. მეცხოველეობა ყოველწლიურად 600 ათასიდან 800 ათას მანეთამდე ზარალს იძლეოდა.

მეცხოველეობაში სიახლეთა დანერგვისათვის პარტიის რაიკომი დიყრდნო და თავის მუშაობაში თვალისწინებს შრომითი კოლექტივების, კომუნისტების, სპეციალისტების მოსაზრებებს, რის საფუძველზეც მტკიცედ დავადგინეთ სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გამბედულ კურსს.

აი 1974 წელს ერთერთი კოლმეურნეობის ბაზაზე შეეკმნენთ ხალეურნეობათაშორისო მეცხოველეობის გაერთიანება, სადაც წლიურივ საწყისებზე შევიდა ყველა კოლმეურნეობა და ხაბჭოთა მეურნეობა.

ამ დიდი და, როგორც იტყვიან, საშვილიშვილო საქმისათვის გამოვნახეთ მხოლოდ იდგილმრივი რეზერვები და საშუალებანი. უმეცრესი ფულადი, მატერიალური ღ. შრომითი რესურსების გამოყენებით, ყოველგვარი კაპიტალური დაბანდების გაუწევლად, მოვაწყეთ პირუტყვის გასასუქებელი პუნქტები ხბოების გამოსაზრდელი გაყოფილებით.

პირველ ხანებში გაერთიანებამ ხბორებისა და უშობლების გამოსაზრდელად უმნიშვნელო რეკონსტრუქციის შემდეგ გამოიყენა ამორტიზებული, ჩამოწერილი სადგომები, ხოლო ინტენსიური სუქება მოეწყო ღია ცის ქვეშ საკვების დარიგების მექანიზაციისა და ავტოდარწყულების პირობებში.

ოცდღიანი ხბოების ორგანიზებულად გამოზრდისათვის სადგომებად ძალიან სწრაფად, ერთ თვეში გადაკეთდა მანამდე გამოუყენებელი სასაწყობო შენობები. სასუქებელ პუნქტს რაიონის მეურნეობებიდან 6.000 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი გადაეცა. მოეწყო ღია ტიპის ფარეულები მარტივი საკვებურებით, სადაც ერთი სულის სადგომზე მხოლოდ 30 მანეთამდე დაიხარჯა.

ამა კარგად დაეუკვირდეთ ამ სიახლის ეკონომიურ ეფექტს! იგი თითქმის 30-35-ჯერ აღემატება ერთული ტიპის კომპლექსებთან შედარებით. და აი კვლავ სასიამოვნო ანგარიში: დიდად გაიაფდა მმართველობის შტატი, უფრო კვალიფიციური გახდა სპეციალისტთა მუშაობა.

ხბორების გამოსაზრდელად ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის შენობებს ვიყენებთ, ძალიან იოლად და სწრაფად გადავაკეთეთ საფრინველე მოწყობილობანი ხბორების სადგომებად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სრული სამძალურის დროს აქ 10 ათას ხბოს გამოზრდიან, გასაგებია ამ ღონისძიების დიდი სეკეთე.

მეცხოველეობის გაერთიანებათა წყალობით უკვე 400 მწყემსი გამოთავისუფლდა ამ დარგიდან, მოკლე დროში ამდენივე კიდევ გამოთავისუფლდება. ამა, კვლავ ვიანგარიშ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილება — ცხოვრებაში!

ძიებით ორგანიზაციის გაძოცდილებიდან

პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც საქართველოს სსრ სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში ხდება, პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების არსებითად გაუმჯობესების, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზაციული შეკავშირების, მასებთან მისი კავშირის განმტკიცების შედეგია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებიდან.

აქტივობის ფასი

ინიციატივა — დიდი რეგვერვი

ვისაც სურს გურჯაანელთა დღევანდელ შემართებაზე, ხასიათსა და განწყობილებაზე, ჩვენი პარტიის ჩინაფიქრის განხორციელებისათვის მაოს ნამდვილად ფუნაწყობილ ნაბიჯებზე წარმოდგენა იქონიოს, ვფიქრობთ, სასარგებლო იქნება დავიწყოთ საყურადღებო სიახლეებიდან, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის იმ ფორმებიდან და მეთოდებიდან, რომლებიც ასე გაბედულად ინერგება აქ ამ უკანასკნელ წლებში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების სპეციალიზაციასა და კონცენტრაციაში გურჯაანის რაიონის გამოცდილების შესახებ", — ვკითხულობთ:

„პარტიის გურჯაანის რაიკომი დიდ ორგანიზატორულ მუშაობას ეწევა მეცხოველეობის... და საერთო სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისათვის, უნარიანად რაზმავს საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს, რაიონის მშრომელებს დარგის ინტენსიფიკაციის სამრეწველო პრობლემების გადასაჭრელად. გურჯაანის პარტიული ორგანიზაციისათვის დამახასიათებელი გახდა დასახული გეგმების ოპერატიული განხორციელება და დადგენილი შედეგების დროული მიღწევა..."

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — **ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის, შრომის სოციალისტური დისციპლინის განმტკიცების საქმეში პარტიის ლაგოდეხის რაიკომის მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ,** — კარგად მოჩანს გურჯაანელთა წინსვლა მეტად მოკლე დროში. მასში აღნიშნულია, რომ თუ ლაგოდეხის რაიონის ეკონომიკის განვითარება უკანასკნელი წლების მანძილზე არსებითად გაიაუნა, მისი მეზობელი გურჯაანისა და ყვარლის რაიონები, რომლებიც იგივე, ზოგ შემთხვევაში კი უარეს პირობებშიც იმყოფებიან, გაცილებით შორს წავიდნენ: 1973 წლიდან პროდუქციის წარმოება 100 ჰექტარ სავარგულზე გურჯაანის რაიონში **ერთიორად და მეტად გაიზარდა,** ლაგოდეხის რაიონში კი **შემცირდა.** ამავე პერიოდში ერთ მუშაზე გამომუშავება **გურჯაანის რაიონში გაიზარდა, ლაგოდეხში შემცირდა.** ასევე ითქმის რენტაბელობის დონეზეც.

ეკონომიკის წინსვლა აშკარად დაეტყო მშრომელი კაცის ბიუჯეტს. თუ 1972 წელს კაცდღის ღირებულება კოლმეურნეობებში საშუალოდ 4 მანეთსა და 84 კაპიკს შეადგენდა, შარშან ერთ კაცდღეზე 7 მანეთზე მეტი გაიცა. 1972 წელს კოლმეურნეობებში შრომის დამატებით ანაზღაურებაზე 126 ათასი მანეთი დაიხარჯა, 1975 წელს კი შრომის დამატებითმა ანაზღაურებამ ყველა სახის მატერიალური წახალისების გზით გაცემულ თანხებთან ერთად 1.574 ათასი მანეთი, ანუ 12,5-ჯერ მეტი შეადგინა.

— ახლა ბევრი ჩვენი კოლმეურნე, — ამბობს საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი, სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვალიკო უტიაშვილი,** — თითქმის პროფესიონალის ხელფასს იღებს. ის დავით მღებრიშვილმა შარშან 6.427 მანეთი გამოიმუშავა, გივი აკოფაშვილმა — 5.751 მანეთი, ნიკოლოზ ბერულაშვილმა — 3.975 მანეთი...

და განა მარტო ჩუმლაყში იმატა ალალი გაჯის საფასურმა?! ჯითხეთ კაპრეთელ კოლმეურნე გიორგი ფოდოლაშვილს, არაშენდელ ეკალნინე იაგანაშვილს, თვითეულმა 3.500 მანეთზე მეტი რომ გამოიმუშავა, კიდევ ასობით, ათასობით სხვებს, და ვეტყვიან, რომ ჩვენი შრომის მადლი ჩვენვე გვიბრუნდებაო.

პარტიის რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ცდილობენ ორგანიზატორული და იდეოლოგიური ლონისძიებანი მჭიდროდ დაუკავშირონ ეკონომიკას, კულტურული ცხოვრების ამა თუ იმ მომწიფებულ საკითხს, ყოველ ღონისძიებას თან ახლდეს მეტი ეფექტიანობა ეკონომიკის წინსვლისათვის, ადამიანთა კომუნისტური აღზრდის გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით იყენებენ შრომითს კოლექტივებსა და საზოგადოების თვითეულ წევრზე იდეურ-პოლიტიკური ზეგავლენის ახალ საშუალებებს. კერძოდ, აწყობენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში ახალწვეულთა ორგანიზებულ გაცილებას; შინმოუსვლელთა ტუკეარკეებში კომკავშირისა და პიონერთა რიგებში საზეიმოდ მიღებას; ომისა და შრომის ვეტერანებთან, წარჩინებულ ადამიანებთან შეხვედრებს; მოსავლის დღესასწაულებს, ქალთა შეკრებებს; წიგნის დღესასწაულებს...

სწორედ ამ მიზნით შეიქმნა სოციალისტური შეჯიბრების რაიონული კლუბი, რომლის მიზანია მოაწყოს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა გამოცდილების გაზიარება, დაიფასოს გამარჯვებული ადამიანის ნამდვილი წვლილი.

სწორედ ადამიანთა აღზრდას, კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას ეხმარება ის ახსნა-განმარტებითი მუშაობაც, რომლის შემდეგ როგორც რაიონულ ცენტრში, ისე სოფლებში საერთო სარგებლობის გზების გასაფართოებლად თვითონ ადამიანები ნებაყოფლობით ამცირებენ საკუთარ ეზოებს.

მომთხოვნელობით, დისციპლინით

კადრებისადმი მომთხოვნელობის ამაღლება, შესრულების შემოწმებისა და კონტროლის თანმიმდევრული განხორციელება, ყველა უბანზე საქმის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. პარტიის რაიკომმა ბოლო წლებში გაითავისუფლა და სუსტი მუშაობისათვის მოხსნა ბევრი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული მუშაკი. მათ ნაცვლად ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაწინაურებულ იქნენ პატიოსანი, უნარიანი ახალგაზრდა კომუნისტები.

ვერავინ ითავეს დამტკიცოს, რომ ახლა რაიონში ამ მხრივ ყველაფერი კაკეთდა. მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ სწორედ კადრებთან მუშაობის გაუმჯობესებით მოკლე დროში ჩამორჩენას თავი დააღწიეს, მოწინავე მეურნეობებს ამოუდგნენ გვერდი და რეკორდული გახდნენ ჭანდრისა და მელაანის კოლმეურნეობები, გურჯაანისა და კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობები...

გვინდა მოვიყვანოთ ორიოდე ფაქტი და სათანადო დასკვნაც გავაკეთოთ. წლეულს ჩუმლაყის კოლმეურნეობაში 5.230 ტონა ყურძნის ნაცვლად 6.236 ტონა მიიღეს, არაშენდელებმა 1.500-ის ნაცვლად 1.890 ტონა, ხოლო მელაანელებმა — 390-ის ნაცვლად 562 ტონა ყურძენი.

მაგრამ აი შრომის საბჭოთა მეურნეობაში ყურძნის მოსავლიანობის გეგმა თითქმის მზრალად სანახევროდ შეასრულეს — 8.100 ტონის ნაცვლად 4.226 ტონა ყურძენი მოკრიფეს, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობაში — 6.350 ტონის ნაცვლად 3.525 ტონა, შაშიანის კოლმეურნეობაში კი — 3.360 ტონის ნაცვლად 1.636 ტონა ყურძენი.

რატომ, რა არის ასეთი მკვეთრი განსხვავების მიზეზი? — სოფელ შრომაშიც, მუკუზანშიც, შაშიანშიც ვერ ამოიქმედეს მოსავლის გადასარჩენად ყველა რეზერვი, აქაურმა კომუნისტებმა, სპეციალისტებმა, მევენახეებმა საქმეს ხელი დააკლეს. მათ რომ ჩუმლაყელებივით ეშრომათ და ემოქმედთ, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი ყურძნის მოება შეეძლოთ.

მაგრამ თუ ამ წერილში საერთოდ ნაკლოვანებებზე არ ვამახვილებთ ყურადღებას, ამიტომ კი არა, რომ ისინი აქ უკვე აღარ არის.

როცა პარტიის რაიკომის პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე განხილული საკითხების ხასიათსა და შინაარსს ეცნობი, აშკარა ხდება, რომ კადრებისადმი საჭირო ნდობასა და პატივისცემას თან ახლავს მკაცრი მომთხოვნელობაც, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის ზრუნვა. პარტიის რაიკომი ცდილობს ყურადღებით, „ლუმფგანით გაანალიზოს შეცდომები და ნაკლოვანებები, ცდილობს კომუნისტებს, კადრებს გამოუმშვიდეს თვითკონტროლის, თვითდისციპლინის გრძნობა.

ამ მიზნით, რომ კიდევ უფრო გაიზარდოს კომუნისტთა პასუხისმგებლობა და აქტივობა, თვითეული პარტიული ორგანიზაცია და თვით რაიკომი უფრო კვალიფიციურად, უფრო საქმიანად ხელმძღვანელობდეს ეკონომიკას, მეტი პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს რაიონში რუსთაველთა ინიციატივის „არცერთი ჩამორჩენილი, უდისციპლინო ჩვენს გვერდით!" — მზადდება სპეციალური პლენუმი, რომელზედაც განიხილავენ პარტიის ლაგოდეხის რაიკომის შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე ამოცანებს.

ამ დღეებში კვლავ ვესტუმრეთ გურჯაანის რაიონს, ვნახეთ ყურძნის მოსავლის სიმეცრით უკმაყოფილო ადამიანები, მაგრამ ნამდვილი ოპტიმიზმით აღსავსენი, რომ მომავალ წელს ერთიორად, ერთისამად მეტ მოსავალს მიიღებენ. ვნახეთ მართლაც და იაფად, მაგრამ გონივრულად ნაგები კომპლექსები — კარგად ნაკვები, მსუქანი და სუფთა ძროხებით, ქათქათა თეთრ ხალათებში გამოწყობილი მოშვლელები, როშელთა უმრავლესობა ახლა ახალგაზრდობაა.

ისინი კმაყოფილებით, გატაცებით ლაპარაკობენ თავიანთ პრაქტიკულ საქმეებზე, გამდიდული სიახლეების დანერგვით მიღებულ თვალსაჩინო შედეგებზე, მომავლის ნათელ გეგმებზე და გვკერა, რომ ისინი სიტყვას არ გატეხენ, უფრო წარმატებით აიღებენ მეათე ხუთწლედის ახალ ზღუდეებს.

ა. ზურაშვილი.



ნლევანდელი უამინდობის პირობებშიც მარაკანი რთველი ჰქონდათ ჩუმლაყელ კოლმეურნეებს. ზემო სურათზე თქვენ ხედავთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვ. უტიაშვილს (მარჯვნივ) და № 4 ბრიგადის ხელმძღვანელ ვ. ნაცვლიშვილს. ამ ბრიგადამ ჰექტარზე საშუალოდ 188 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა.

ეცხოველეობის კომპლექსში ნამუშაოდ სულ უფრო მეტი ახალგაზრდა მოდის. ზემოდან მეორე სურათზე აღბეჭდილი არიან მწველავები (მარცხნიდან) ნინო კვენერელი, დალი პიტიურიშვილი, ზოია ასკილაშვილი, ლილი ლომაძე და ნუნუ მახარაშვილი.

ეირუტყვი ლაღობს სუფთა ჰაერზე და სპეციალური ხაკვებურებიდან იღებს როგორც მწვანე მასას, ისე კომბინირებულ ხაკვებს ლაგბის ხასუქ მეურნეობაში. ასეთი ხასუქი პუნქტები ახლა რამდენიმეა რაიონში.

ქვემო სურათზე კი მოჩანს ნამეურნეობათაშორისო კომბინირებული ხაკვებისა და თივის უქვილის საწარმოო გაერთიანების ერთ-ერთი უბანი, სადაც ადგილობრივი ინიციატივით დაამონტაჟეს ვიტამინიზირებული თივის უქვილისა და სხვადასხვა ჯრანულების დასაბუნებელი მანქანები.

თ. გოგიაშვილის, ჯ. გინზბურგისა და ბ. გიგინეიშვილის ფოტოები.

რედაქციისაგან:

როგორც ეკითხველმა დაინახა, გურჯაანის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილების შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებში შევეცადეთ მოგვეთხრო თქვენთვის, ძვირფასო მეგობრებო, თუ როგორ იბრძვიან გურჯაანელი კომუნისტები, მშრომელები ხუთწლედის ახალი მიჯნების დასაპყრობად; თუ როგორ შრომობენ, რათა მევენახეობის ეს ცნობილი რაიონი კიდევ უფრო დაფინანსდეს, განვითარდეს და აბავეე დროს გახდეს მოწინავე მეცხოველეობის რაიონიც; თუ პარტიის რაიონული კომიტეტი და მისი აქტივი როგორ იღწვნის სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების გზით მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისათვის, რაიონის, სოფლების კეთილმოწყობისათვის.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გურჯაანელი კომუნისტები ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით მტკიცედ დანერგავენ ლენინურ სტილს და წარმატებით განავითარებენ ხუთწლედის ბაღალ ტემპებს, ღირსეულად შეასრულებენ თავიანთ სიტყვას.

შეთანხმების შესაბამისად

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მოწვევის შესახებ

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად 1976 წლის ნოემბრის დამლეგს ქ. ბუქარესტში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირი.

ოფიციალური ვიზიტით

სსრ კავშირს ეწვევა ირლანდიის საქმეთა მინისტრი

საბჭოთა მთავრობის მოწვეგით ამა წლის დეკემბრის შუა რიცხვებში საბჭოთა კავშირს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა ირლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრი დოქტორი გარეტ ფიტზჯერალდი.

სსრ კავშირში ჩამოვა

ვენესუელის რესპუბლიკის პრეზიდენტი კარლოს ანდრეს პერესი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეგით ამა წლის ნოემბრის მეორე ნახევარში საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვა ვენესუელის რესპუბლიკის პრეზიდენტი კარლოს ანდრეს პერესი.

თბილისის სტუმრები

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დელეგაცია საქართველოში

გასულ კვირას თბილისში ჩამოვიდა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დელეგაცია. მის შემადგენლობაში არიან სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ბასიე ბანგურა (სიერა ლეონე), სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის მდივანები რობერტო რომერო ოსპინა (კოლუმბია), აუნი ანუ გოში (ირლანდია).

15 ნოემბერს დელეგაცია მიიღეს საქართველოს აღკკ ცენტრალურ კომიტეტში. მას გულთბილად მიესალმა საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. შარტავა.

ჟ. შარტავამ დელეგაციის წევრებს გაუცნო რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მრავალმხრივი საქმიანობა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის სამდივნოს დელეგაციის ვიცე-პრეზიდენტმა ბასიე ბანგურამ ამ კავშირის 30 წლისთავის გამო საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჟ. შარტავას გადასცა სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის საპატიო დიპლომი სტუდენტთა საერთაშორისო მოძრაობაში, — მშვიდობისათვის, სოლიდარობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში დიდი წვლილისათვის.

15 ნოემბერს სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის დელეგაცია სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტის ბასიე ბანგურამ ამ კავშირის 30 წლისთავის გამო საქართველოს აღკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჟ. შარტავას ასტუდენტთა საერთაშორისო კავშირის სპეციალური დიპლომი გადასცა.

ვარშავის აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე პ. იაბლონსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სახალხო პოლონეთის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის დროებითი მუქმეთა რწმუნებული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გ. ი. რაგულინი.

ჯ. კარტერის განცხადება

ვაშინგტონი. (საკდესი). ჯ. კარტერმა, რომელიც ნოემბერში ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტად აირჩიეს, ქალაქ პლეინსში (ჯორჯიის შტატი) გამართა პრესკონფერენცია.

მე დიდი ყურადღებით წავიკითხე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის უკანასკნელი გამოსვლები და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს სიტყვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ატომურ იარაღზე დამოკიდებულების შეზღუდვის შესახებ, თქვა ჯ. კარტერმა. როდესაც ოფიციალურად დავიკავებ პრეზიდენტის პოსტს, უაღრესად აქტიურად შევისწავლი, თუ როგორ შეიძლება შეჭმეცირდეს დამოკიდებულება ატომურ იარაღზე.

შეეხო რა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, ჯ. კარტერმა თქვა, რომ საარჩევნო კამპანიის დროს აკრიტიკებდა რესპუბლიკურ მთავრობას, რადგან იგი დაბეჯითებით არ აწარმოებდა მოლაპარაკებას და ვერ მიაღწია პროგრესს იმ ორი წლის მანძილზე, რომელმაც განვლო ვლადივოსტოკის მორიგების მიღწევის შემდეგ, ეს მორიგება კი შემდგომი მოლაპარაკების საფუძველია.

ჯ. კარტერმა იმედი გამოთქვა, რომ გაისად შემოდგომისათვის, როდესაც ვადა გაუვა სტრატეგიული თავდასხმითი შეიარაღების შეზღუდვის დარგის ზოგიერთი ლონისძიების შესახებ დადებულ დროებით შეთანხმებას, ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი შეძლებენ ახალი ყოვლისმომცველი შეთანხმების დადებას.

16 ნოემბერი

მსოფლიოს ამბები

ფასიანი ფურცელი ბრიტანეთიდან

საკვლევი იუწყება

იუგოსლავია დღეს

შენდება ახალი სასახლე

ბელგრადი, სადაც გაისად გაიმართება უშიშროებისა და თანამშრომლობის სრულიად ევროპის თათბირი მინისტრთა დონეზე, სტუმრებს მიიღებს ახალ ყრილობათა სასახლეში. იგი მდინარე სავის მარცხენა ნანაპიროზე შენდება. ყრილობათა დარბაზი და 35 სამუშაო კაბინეტი დელეგაციებისათვის, ჟურნალისტებისათვის ადგილი გამოყოფილი იქნება გალერეაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აგრეთვე პრეს-ცენტრის მოწყობას, სადაც ერთდროულად 250 ჟურნალისტი იმუშავებს.

მიღებულია იუგოსლავიის განვითარების გეგმა

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სკუპშინამ მიიღო იუგოსლავიის განვითარების 1976-1980 წლების საზოგადოებრივი გეგმა. დოკუმენტის არსებითი კომპონენტებია: საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის კონსტიტუციური ტრანსფორმაცია უშუალო მწარმოებლისათვის ყველა სფეროში ფართო ზეგავლენის პირობების უზრუნველყოფის თვალსაზრისით; იუგოსლავიის ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლა სანედლეულო და კვების მრეწველობის და ენერგეტიკის განვითარებაზე დაყრდნობით, და ბოლოს, ინტენსიურ განვითარებაზე გადასვლა. გეგმა მიღებულ იქნა ქვეყნის მხარეებსა და რესპუბლიკებში გამართული ფართო კონსულტაციების შემდეგ, ცალკეული რაიონებისა და დარგების სპეციფიკური მოთხოვნილებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ახალი ელექტროსადგურები

იუგოსლავიის ტერიტორიაზე ამჟამად შენდება 44 ელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე ამუშავების შემდეგ 9.729 მეგავატი იქნება. ახალი ელექტროსადგურები ყოველწლიურად სახელმწიფოს მიაწვდიან 43 მილიარდ 700 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას, რაც მოლიანად დააკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე.

ავტოსტრადა „ძმობა-ერთიანობა"

დღეთაპრულ იუგოსლავიის მაგისტრალური გზატკეცილების მშენებლობის პროექტის შედეგნა. ახალი მაგისტრალები ერთმანეთს დაუკავშირებს იუგოსლავიის რესპუბლიკებსა და იუგოსლავიას ევროპასთან. მშენებლობაში პროორიტეტი დაეთმობა ავტოსტრადას „ძმობა-ერთიანობა"; რომელიც აშენდება სლოვენის ქალაქ ესენიცედან მაკედონიის ქალაქ ჯეჯელამდე. 607-კილომეტრიანი გზა გადაკვეთს ხორვატიასა და სერბიას.

1980 წლის ბოლომდე აშენდება და რეგონსტრუირებული იქნება 1.310 კილომეტრი სიგრძის მაგისტრალური გზატკეცილი, რისთვისაც 30 მილიარდი დინარი გამოიყოფა.

პოლონეთის დელეგაცია სამშობლოში დაბრუნდა

ვარშავა. (საკდესი). **სამშობლოში დაბრუნდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაცია პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. გერეკის მეთაურობით, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიწვევით ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იყო ჩამოსული საბჭოთა კავშირში.**

ვარშავის აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე პ. იაბლონსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სახალხო პოლონეთის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის დროებითი მუქმეთა რწმუნებული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში გ. ი. რაგულინი.

ევროპიელ ერებს ორგანიზაციის

ავლაგმოთ გამალეგული შეიარაღება

ნიუ-იორკი, (საკდესი). **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში მიმდინარე დისკუსია განიარაღების ფართო კომპლექსის პრობლემებზე ცხადყოფს, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების შემდგომი განმტკიცების, მტკიცე და შეუქცევად პროცესად მისი გადაქცევის ამოცანა მოითხოვს უწინარეს ყოვლისა გამალებული შეიარაღების შეწყვეტასა და განიარაღებას.** ეს ამოცანა ამჟამად ყველაზე მთავარი და გადაუდებელია მთელი კაცობრიობისათვის — ასეთია კამათის მონაწილეთა დიდი უმრავლესობის ერთსულოვანი აზრი.

გორბაჩოვ იყენებენ ვეტოს უფლებას

ნიუ-იორკი. (საკდესი). **უშიშროების საბჭომ დაამთავრა საკითხის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიღების შესახებ. დისკუსიამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიეტნამის მიღების საკითხი რჩება პრობლემად, რომელიც დაუყოვნებლივ გადაჭრას მოითხოვს.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიღების რეზოლუციის პროექტს ხმა მისცა უშიშროების საბჭოს 14 წევრმა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა კვლავ ვეტო დაადო გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიღებას. ამით შეერთებულმა შტატებმა უგულებელყო უშიშროების საბჭოს წევრთა დიდი უმრავლესობის ნება, გამოთქმული რეზოლუციის პროექტით, რომელშიც ურჩია გენერალურ ასამბლეას ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა მიეღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

მიწისძვრა პეკინში

პეკინი, (საკდესი). **გუშინ ხალამოს პეკინში მიწა იძრა, ასე რომ, გრძელდება ხეისმური აქტივობა ტანშან-ფენანის რაიონში, რომელიც მიმდინარე წლის 28 ივლისს დაზარალდა მიწისძვრისაგან.** სეისმოლოგიურმა სამმართველომ, განაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების წარმომადგენელმა, ამ რაიონში აღრიცხა ძლიერი მიწისქვეშა ბიძგი, რომლის ძალა შეადგენდა 6,9 ბალს რიხტერის სკალით.

პეკინში, რომელიც მიწისძვრის ეპიცენტრიდან 150 კილომეტრზე მდებარეობს, არაფერი არ დანგრეულა.

საძარცვაველოს ძალაძებში



საბჭოთა კავშირის კულტურის დღეები შვეიცარიაში

სტოკჰოლმი, 16 ნოემბერი. (საკ.დეს). დედაქალაქის „ფოლკანის“ თეატრის სცენაზე გამოსვლით დაამთავრეს გასტროლები შვეიცარიაში საქართველოს სსრ ხელოვნების ოსტატებმა.

ქვეყანაში ერთი თვის მოგზაურობის დროს, რომელიც შვეიცარიაში საბჭოთა კავშირის კულტურის დღეების ფარგლებში მოეწყო, ქართველმა მსახიობებმა 50 კონცერტი გამართეს სამხრეთ და ჩრდილოეთ შვეიცარიის სხვადასხვა ქალაქში, მონაწილეობა მიიღეს ზეიმში, რომელიც შვეიცარიის საზოგადოებრივობამ მოაწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59 წლისთავის გამო.

მზიური საქართველოს მსახიობთა კონცერტებს დაესწრო 40 ათასზე მეტი კაცი. მილიონობით შვეიცარიელი ნახა ისინი ტელევიზიით.

ამავე დროს „ალეფფლოტის“, „ინტურისტის“, „შვეიცია-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოებათა კავშირისა და სხვა ორგანიზაციების ინიციატივით სტოკჰოლმში მიმდინარეობდა ქართული სამზარეულოს კვირეული.

ბევრ ქალაქში გაიმართა ქართველ კინემატოგრაფისტთა მიერ შექმნილი ფილმების ფესტივალი. მაყურებელს უჩვენეს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ ისეთი ფართოდ ცნობილი კინოლენტები, როგორიც არის „ჯარისკაცის მამა“, „ვეფის უბნის მელოდიები“, „არ დაიდარდო“ და სხვ.

„საბჭოთა კავშირი, მისი ხელმძღვანელობა, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი დიდ მუშაობას ეწევიან ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში „შვეიცია-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოებათა კავშირის გენერალურმა მდივანმა ეგა პალმერმა. — ჩვენი ქვეყნების ხალხთა მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების მიზნებს ემსახურება შვეიცარიაში საბჭოთა კავშირის კულტურის დღეებიც, რომლებიც უკვე ტრადიციად იქცა. მათი პროგრამა, როგორც ყოველთვის, მეტად მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. ასეთი დღეების წყალობით შვეიცარიის საზოგადოებრიობა გაეცნო ბევრი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებას. „შვეიცია-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოებათა კავშირი კვლავაც განაგრძობს და განაგითარებს ამ დიდმნიშვნელოვან და სასარგებლო ტრადიციას“.

ჯილდომ პატრონი იპოვნა

□

ბედალი „მამაცობისათვის“ 30 წლის შემდეგ

ოდესაც წელზე მეტი გავიდა დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან, მაგრამ იმ დროის სასახელო საქმენი მაინც არ ბინდდებიან.

მახარაძელი არადი ივანეს-ძე ვაშალომიძე ბუდაპეშტში დაიჭრა და ევაკუირებულ იქნა, მას ფეხის ამპუტაცია დასჭირდა, რის გამო ბევრი ჰოსპიტლის გამოცვლა მოუხდა. ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის მზეერავთა ოცეულის მეთაური ა. ვამალომიძე წარდგენილი იყო მთავრობის ჯილდოზე, მაგრამ გაძნელდა მისი ბოვნა.

ვალოხდილი მეომარი სამშობლოში დაბრუნდა და შრომითს საქმიანობაში ჩაება... და აი თადარიგის ოფიცერს, ლაითურის მეურნეობა-ტექნიკუმის მასწავლებელს ა. ვაშალომიძეს ამას წინათ გადაეცა მედალი „მამაცობისათვის“, რომელიც 30 წელზე მეტია პატრონის მოლოდინში იყო.

ა. მაისურაძე,
თადარიგის მაიორი.

მშვენდება გურჯაანი

ეკონომიკის სწრაფი ტემპით აღმავლობასთან ერთად გურჯაანის რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების უურადღებას ცენტრშია თვით შრომის ადამიანისათვის, მათი შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ზრუნვა. სწორედ ამ მიზნით ბოლო ორ წელიწადში აქ ბევრი რამ გაკეთდა, აშენდა, კეთილმოეწყო.

აი ხაქესპლოატაციოდ გადაეცა და ადამიანთა დასვენების, მათი აღზრდის აქტიურ სამსახურში ჩადგა სოფელ გურჯაანისა და შაშიანის კულტურის სახლები, რეკონსტრუქცია გაუკეთდა კარდენახის, ჩუმლაყოსა და სხვა სოფლების კულტურულ-საგანმანათლებლო და საკლუბო დაწესებულებებს. აშენდა კაბინეტ-ლაბორატორიებით აღჭურვილი 8 ახალი სასკოლო შენობა და 10 საბავშვო ბაღი და ბაგა, რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, გურჯაანსა და კაჭრეთში — თანამედროვე ტიპის სავაჭრო ცენტრები. საყოფაცხოვრებო ქსელის ობიექტებს შეემატა საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი ქ. გურჯაანში, სოფლად — სხვადასხვა პავილიონები, აბანოები.

დღეს ყველი სოფელი ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია, ფართოვდება სატელეფონო ქსელი, კეთილმოეწყო ორ შავი საფარი დაიგო ათობით კილომეტრ მაგისტრალურ და საუბნო გზაზე, მოსწორდა, მოიხრეშა ასეულობით კილომეტრი საველე და სანალიანაცალო გზებიც.

სილამაზე, ნესრიგი, სისუფთავე ატყვია კუროორტ ანტალის მთელ ტერიტორიას, აქ გაშენებულ „დიდების პარკს“, კაჭრეთის საავადმყოფოს პალატებსა და ეზოს, ხასოფლო კულტურის კერებს...

თვით გურჯაანში, ქალაქის შემაღლებულ ბექობზე ადგილობრივი ინიციატივითა და ძალებით, თითქმის ადგილობრივი სახსრებით შენდება შესანიშნავი კომპლექსი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვების აღსანიშნავად.

ხარაჩოებშია ხხვა კიდევ ბევრი ნაგებობა — სასმელი წყლის დიდი აუზი თუ სპორტული კომპლექსი, სასკოლო შენობა თუ გზების სამაგრი ჯებირები...

ყოველივე ეს კი კეთილმოწყობის იმ ერთიანი პერსპექტიული გეგმით კეთდება, რომელიც შემუშავებული აქვთ პარტიის გურჯაანის რაიკომსა და რაისაბჭოს აღმასკომს.

სურათზე: „მშვიდობის კომპლექსის“ წინა ხედი.

ვლ. ბინსბერგის ფოტო.

17 ნოემბერი სტუდენტთა საერთაშორისო დღეა

ჩვენ თბილისში ვსწავლობთ

ჩვენი ეპოქის პროგრესულ სტუდენტობას ერთი მიზანი, იდეალები და პრინციპები აქვს. ისინი ეუფლებიან მეცნიერების საფუძვლებს, რომ თავანთი ცოდნა, ძალა და ენერგია კაცობრიობის კეთილშობილური მიზნების განხორციელებას მოახმარონ.

სურათზე: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტები და სტუდენტები. მარცხნიდან — სიდამომ ფარაგ ტავდრუზი (ეგვიპტე), თამარ უჯუხუ (სსრკ, ადიღეს ავტონომიური ოლქი), ლელა გუგავა (სსრკ, თბილისი), ბერნარ დემანდრი (საფრანგეთი), ახია აშხამაზი (სსრკ, ადიღეს ავტონომიური ოლქი), ქამალ მელიქ ჰანა (ეგვიპტე), ვესკა დიმიტროვა (ბულგარეთი), იზდიპარ ხალიფი, ამდელ-ღანი ალი ელ-აგამი და ალი ელ-კაშაფი (ყველანი — ეგვიპტიდან).

ბ. ბოგოსიანის ფოტო.

მკითხველის კალმით

□ **ლანჩხუთი.** ხოფელ წყალწმინდის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა კარგი ინიციატივა გამოიჩინეს: თავისუფალ დროს დახმარებას ხელი გაუწოდეს ღრმადელის საბჭოთა მეურნეობის ხაკვებმომპოვებლებს.

მოსწავლეებმა წელს დაამზადეს 4,5 ტონა თივა და 10 ტონა ნედლი მახა.

ნ. ნიბაძე.

□ **ქობულეთი.** მდინარე ორხამურზე ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობის ინიციატივითა და სახსრებით დაიწყო ახალი კაპიტალური ხიდის მშენებლობა.

ახალი ხიდ რაონულ ცენტრთან დააკავშირებს ცეცხლაურისა და ჯიხანჯურის საბჭოთა მეურნეობებსა და ორხამურ-ლაითურის გზას.

ო. კონცელიძე.

□ **ხრბი.** ხოფლის ხელმძღვანელთა ინიციატივით, ხოფელ საჯიჯოს ცენტრში გაყვანილია სასმელი წყალი. ამით კოლმეურნეებმა კარგი სანუკვარი მიიღეს.

რ. ქაჯაია.

□ **ცხინვალი.** წელს სამხრეთ ოსეთის პიონერ-მოსწავლეები მასობრივად გავიდნენ ასკილის საკრეფად. ამ სასარგებლო საქმიანობაში ჩაება ცხინვალის რაიონის ვანათის საშუალო სკოლის რაზმეულიც. პიონერებმა 600 კილოგრამის ნაცვლად 1.008 კილოგრამი ასკილი ჩააბარეს დამამზადებელ პუნქტს. განსაკუთრებით ისახელეს თავი მეხუთე და მეექვსე კლასელებმა მასწავლებლების ნ. ჯოჯაშვილისა და ტ. გადეგაშვილის ხელმძღვანელობით.

ბ. აბაევი.

□ **სამტრედია.** ჯორმაღლის სახოფლო საბჭოს ცენტრში ახლახან გაიხსნა სასურსათო მაღაზია, (რომელიც პლატაციებში მომუშავე საბჭოთა მეურნეობის მუშებსაც უწევს მომსახურებას.

ამ დღეებში ხოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამსახურში ჩადგა აგრეთვე ფეხსაცმლის, ტელევიზორისა და რადიოს შემკეთებელი სახელოსნოები.

ბ. შანიძე.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ, 13 საათზე მთელ საქართველოში ყველგან მშრალი, მზიანი ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო, 21 გრადუსი, ბათუმში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 17-20, მთებში 12-17 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო, 11 გრადუსი, საგარეჯოში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 7-10, მთებში 5-9 გრადუსი იყო.

ᲒᲣᲨᲘᲜ, 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 10 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ სანაპირო რაიონში მოხალოდნელია მცირე წვიმა, რაიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 18-22, მთებში 10-15 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, ხუსტი ქარი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 9-14, მთებში 7-12 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ღრუბლადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ტემპერატურა — 12-14 გრადუსი.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜ, 13 საათზე მთელ საქართველოში ყველგან მშრალი, მზიანი ამინდი იდგა. დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო, 21 გრადუსი, ბათუმში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 17-20, მთებში 12-17 გრადუსი იყო.

აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი სითბო, 11 გრადუსი, საგარეჯოში აღინიშნა. დანარჩენ დაბლობ რაიონებში 7-10, მთებში 5-9 გრადუსი იყო.

ᲒᲣᲨᲘᲜ, 13 საათზე თბილისში თერმომეტრი 10 გრადუსს უჩვენებდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ სანაპირო რაიონში მოხალოდნელია მცირე წვიმა, რაიონის ხეობაში აღმოსავლეთის ქარი იქროლებს. დაბლობ რაიონებში 18-22, მთებში 10-15 გრადუსი იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, ხუსტი ქარი, ტემპერატურა — დაბლობ რაიონებში 9-14, მთებში 7-12 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ღრუბლადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ტემპერატურა — 12-14 გრადუსი.

ᲨᲔᲛᲘᲜᲓᲘ

ᲐᲠᲪ ᲤᲘᲪᲘ ᲒᲕᲜᲐᲛᲡ, ᲐᲠᲪ ᲑᲝᲚᲝ ᲒᲕᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲡ

ᲤᲝᲜᲘᲜᲯᲐᲚᲐᲨᲘ, რუსთავის გზატკეცილზე მდებარეობს მეხუთე ავტოსატრანსპორტო საწარმო. იგი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ობიექტებს ემსახურება. და ამიტომ სად არ შეხვდებით მის ავტომანქანებს. მათ ტვირთი გადაქვთ ჩვენი ოვალუწვდენელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ეს გიგანტი ავტოსაწარმო ზედ რუსთავთან მდებარეობს, სადაც შესანიშნავი თანასობა დაიბადა — „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“

თუ გეოგრაფიულ სიახლოვეს, მეზობლობას რაიმე მნიშვნელობა აქვს, რუსთაველთა პატრიოტული თაოსნობა ყველაზე ადრე ამ საწარმოს კოლექტივს უნდა გაეგო და აეტაცა, ღვიძლ საქმედ ექცია. მართალია, მოწოდება ავტოსაწარმოს კოლექტივმა კრებაზე განიხილა, დადგენილებაც მიიღო, მაგრამ, როგორც ეტყობა, იგი მხოლოდ ქაღალდზე გაფორმეს და მაუდქეეშ ამოდეს...

ეს რომ ასე მოხდა, ამას შემდეგი ფაქტები ადასტურებს.

თბილისის № 1 მექანიკური ქარხანას მძიმე წონის რკინის ნაწარმი უნდა გაეგზავნა ქალაქ ხარკოვში. ქარხნის დირექციამ ტვირთის გადატანა ამ უდიდეს ავტოსაწარმოს შეუკვეთა. აქაც სინარულით შეხვდნენ ამ საპატიო, სერიოზულ დავალებას და საამისოდ ავტომანქანა „შკოდა“ (13-55 გაგ) გამოყვეს. შემდეგ მძღოლ სერგო ალექსანდრეს-ძე ზიხიანს ცენტრალური საქალაქთაშორისო საგზურის ფურცელი და 2 ნოემბრიდან 19 ოდესმბრამდე მიევლინების მოწმობა გაუფორმეს. დაკვეთის შესრულებისათვის ეს ერთი მანქანა საკმარისი იყო, მაგრამ ...თურმე ავტოსაწარმოში სხვა განზრახვაც ჰქონდათ. და აი იმავე მარმრტეთ ფიცხლად „მიავლინეს“ ავტომანქანა „მაზ-504“-იც (13-22 გრლ. მძღოლი გრიგოლ თათეოზის-ძე პალიკიანი). ორივ ეს იკმარეს და ქალაქ ჩიპაევსკის გზას გაუყენეს მეორე „შკოდაც“ (56-76 გრს, მძღოლები მიხეილ ოვანეზის-ძე მიკირტუმოვი და ედუარდ ალექსანდრეს-ძე ხოჯაევი), თუ რა მიზნით, — ამას ქვემოთ დავინახავთ. ასევე სიხარულით ცას ეწიენ ამ, როცა შეიტყეს, რომ „საქმიგასაღებამ“ ტვირთი ნოვოგრადვოლინსკში უნდა გაგზავნოსო და საამისოდ ყველაზე სანდო მძღოლი ტარიელ ნიკოლოზის-ძე ბადრაშვილი (ავტომანქანა „შკოდა“, 75-89 გრშ) გამოყვეს. მასაც ცენტრალური საქალაქთაშორისო საგზურის ფურცელი გამოუწერეს და 2 ნოემბრიდან 19 ნოემბრამდე ნოვოგრადვოლინსკში მიავლინეს.

ასე ეშედგა ეს ოთხი მანქანის ქარავანი. ამ დროს ამავე საწარმოს კუთვნილი —„მაზ-504“ ავტომანქანა (98-71 გან), რომელიც თენგიზ ალექსანდრეს-ძე ქუთათელაძეზე და ბორის სერგის-ძე კოტარაზე გაპირონებული, საგზურის ფურცლის მიხედვით 2 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრამდე პენზაში იყო მივლინებული. იქიდან დაბრუნებული კი გარაჟში არც შესულა, ისე შეუერთდა ზემოთ ჩამოთვლილი ავტომანქანების ქარავანს, თანაც საკმაო ზედმეტ ტვირთი ეკიდა. ეს ოთხივ ავტომანქანა საწარმოს უფროსმა სპარტაკ თუთბერიძემ ხელები გაასავსავა, როგორ გეკადრებოდა, 2 ნოემბრის შემდეგ ხოჯაევისა და მიკირტუმოვისათვის თვალი არ მოგვიკრავსო. საწარმოს ხელმძღვანელს ამა როგორ არ დაეჯერებოდა. მაგრამ 9 ნოემბერს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობის ჩარევის შემდეგ გამოირკვა, რომ თურმე ეს მანქანა (56-76 გრს) 7 ნოემბრის შემოსულა გარეშეო. რის მანდატინა, რა მანდატინი, ამათზე პატრონსან და შრომისმოყვარე შოფრებს, სანთლით რომ ეძებთთ, სად ნახავთო. მაგრამ ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებსო — მაშინ მიკირტუმოვისა და ხოჯაევის მივლინების ბარათები და საგზურის ფურცლები როგორ მოხვდა სოფელ ქვიტირთან ავტოინსპექტორების ხელში?! ან იმაზე რაღას იტყვიან საწარმოს ხელმძღვანელები, რომ რუსეთში მივლინებული მანქანები ახლაც ქვიტირთან დგას ციტრუსებით დატვირთული?

აქ კიდევ ერთი კითხვით გვინდა მივმართოთ იგივე ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელებს: როგორ აღმოჩნდა სპეკულანტთა ავტოქარავანში პენზიდან დაბრუნებული ავტომანქანა (98-71 გან), რომელიც 27 ოქტომბრის უნდა დაბრუნებულიყო გარეშეში? რატომ არ მოიკითხეს 9 დღეს დაკარგული ავტომობილი? ალბათ აქაც სხვა ძალის თავია დამარხული.

ყველგან და ყველაფერში უნდა განმტკიცდეს სოციალისტური დისციპლინა, გაძლიერდეს საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი. მკაცრად უნდა მოვკითხოთ ყველას, ვინც სპეკულანტ მძღოლებს ხელი შეუწყო „ოკინა-მანდარინულ ოპერაციაში“ და იმათაც, ვინც ამ ვაგაბონტების უკან დგას. მათ მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი მომხვეჭელობისა და სპეკულანტების ხელისშეწყობისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს იმ სოფლების კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო საბჭოებისა და მთელი საზოგადოებრივი აქტივის დოყლაპობა (გულგრილობა თუ არა), რომელთა თვალწინ დაიკრიფა 56 ტონა მწვანე მანდარინი და მანქანებში დაიტვირთა. ისიც საკითხავია: ნეოუ სოფელში, სადაც ათი ტონა მანდარინი დაკარგეს, ეს ყოველივე შეუმჩნეველი დარჩა ადგილობრივ აქტივს? ვფიქრობთ, შუბი ხალხში არ დიმალება და გამოძიება სოფელსაც ეაადგენს და სპეკულანტთა ხელშემწყობებსაც.

ბ. ბახტურიძე.

სპეკულანტი — სამარცხვინო ბოძზე!

ᲐᲠᲪ ᲤᲘᲪᲘ ᲒᲕᲜᲐᲛᲡ, ᲐᲠᲪ ᲑᲝᲚᲝ ᲒᲕᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲡ

ᲤᲝᲜᲘᲜᲯᲐᲚᲐᲨᲘ, რუსთავის გზატკეცილზე მდებარეობს მეხუთე ავტოსატრანსპორტო საწარმო. იგი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ობიექტებს ემსახურება. და ამიტომ სად არ შეხვდებით მის ავტომანქანებს. მათ ტვირთი გადაქვთ ჩვენი ოვალუწვდენელი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ეს გიგანტი ავტოსაწარმო ზედ რუსთავთან მდებარეობს, სადაც შესანიშნავი თანასობა დაიბადა — „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი ჩვენს გვერდით!“

თუ გეოგრაფიულ სიახლოვეს, მეზობლობას რაიმე მნიშვნელობა აქვს, რუსთაველთა პატრიოტული თაოსნობა ყველაზე ადრე ამ საწარმოს კოლექტივს უნდა გაეგო და აეტაცა, ღვიძლ საქმედ ექცია. მართალია, მოწოდება ავტოსაწარმოს კოლექტივმა კრებაზე განიხილა, დადგენილებაც მიიღო, მაგრამ, როგორც ეტყობა, იგი მხოლოდ ქაღალდზე გაფორმეს და მაუდქეეშ ამოდეს...

ეს რომ ასე მოხდა, ამას შემდეგი ფაქტები ადასტურებს.

თბილისის № 1 მექანიკური ქარხანას მძიმე წონის რკინის ნაწარმი უნდა გაეგზავნა ქალაქ ხარკოვში. ქარხნის დირექციამ ტვირთის გადატანა ამ უდიდეს ავტოსაწარმოს შეუკვეთა. აქაც სიხარულით შეხვდნენ ამ საპატიო, სერიოზულ დავალებას და საამისოდ ავტომანქანა „შკოდა“ (13-55 გაგ) გამოყვეს. შემდეგ მძღოლ სერგო ალექსანდრეს-ძე ზიხიანს ცენტრალური საქალაქთაშორისო საგზურის ფურცელი და 2 ნოემბრიდან 19 ნოემბრამდე ნოვოგრადვოლინსკში მიავლინეს.

ასე ეშედგა ეს ოთხი მანქანის ქარავანი. ამ დროს ამავე საწარმოს კუთვნილი —„მაზ-504“ ავტომანქანა (98-71 გან), რომელიც თენგიზ ალექსანდრეს-ძე ქუთათელაძეზე და ბორის სერგის-ძე კოტიეს და, ვითომც არაფერი, ისევ ფონინჯალაში, მეხუთე ავტოსაწარმოში დაბრუნდნენ. რესპუბლიკის ავტოინსპექციიდან 7 და 8 ნოემბერს აღნიშნეს ავტოსაწარმოს ხელმძღვანელობას, ესა და ეს ავტომანქანა გაგვიქეცა. საწარმოს უფროსმა სპარტაკ თუთბერიძემ ხელები გაასავსავა, როგორ გეკადრებოდა, 2 ნოემბრის შემდეგ ხოჯაევისა და მიკირტუმოვისათვის თვალი არ მოგვიკრავსო. საწარმოს ხელმძღვანელს ამა როგორ არ დაეჯერებოდა. მაგრამ 9 ნოემბერს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობის ჩარევის შემდეგ გამოირკვა, რომ თურმე ეს მანქანა (56-76 გრს) 7 ნოემბრის შემოსულა გარეშეო. რის მანდატინა, რა მანდატინი, ამათზე პატრონსან და შრომისმოყვარე შოფრებს, სანთლით რომ ეძებთთ, სად ნახავთო. მაგრამ ფიცი გვწამს და ბოლო გვაკვირვებსო — მაშინ მიკირტუმოვისა და ხოჯაევის მივლინების ბარათები და საგზურის ფურცლები როგორ მოხვდა სოფელ ქვიტირთან ავტოინსპექტორების ხელში?! ან იმაზე რაღას იტყვიან საწარმოს ხელმძღვანელები, რომ რუსეთში მივლინებული მანქანები ახლაც ქვიტირთან დგას ციტრუსებით დატვირთული?

აქ კიდევ ერთი კითხვით გვინდა მივმართოთ იგივე ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელებს: როგორ აღმოჩნდა სპეკულანტთა ავტოქარავანში პენზიდან დაბრუნებული ავტომანქანა (98-71 გან), რომელიც 27 ოქტომბრის უნდა დაბრუნებულიყო გარეშეში? რატომ არ მოიკითხეს 9 დღეს დაკარგული ავტომობილი? ალბათ აქაც სხვა ძალის თავია დამარხული.

ყველგან და ყველაფერში უნდა განმტკიცდეს სოციალისტური დისციპლინა, გაძლიერდეს საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი. მკაცრად უნდა მოვკითხოთ ყველას, ვინც სპეკულანტ მძღოლებს ხელი შეუწყო „ოკინა-მანდარინულ ოპერაციაში“ და იმათაც, ვინც ამ ვაგაბონტების უკან დგას. მათ მთელი სიმკაცრით უნდა აგონ პასუხი მომხვეჭელობისა და სპეკულანტების ხელისშეწყობისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს იმ სოფლების კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო საბჭოებისა და მთელი საზოგადოებრივი აქტივის დოყლაპობა (გულგრილობა თუ არა), რომელთა თვალწინ დაიკრიფა 56 ტონა მწვანე მანდარინი და მანქანებში დაიტვირთა. ისიც საკითხავია: ნეოუ სოფელში, სადაც ათი ტონა მანდარინი დაკარგეს, ეს ყოველივე შეუმჩნეველი დარჩა ადგილობრივ აქტივს? ვფიქრობთ, შუბი ხალხში არ დიმალება და გამოძიება სოფელსაც ეაადგენს და სპეკულანტთა ხელშემწყობებსაც.

ბ. ბახტურიძე.

ᲛᲔᲢᲔᲝᲠᲘᲢᲘ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲝᲜᲘ. წარმატებით აღიარა სტარტი მიმდინარე გათამაშებაში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ცსკა-მ, რომელმაც მოსკოვში ანგარიშით 107:91 (54:46) დამარცხა კაუნასის „ულალგრისი“. 18 ნოემბერს არმიელები დედაქალაქში ევროპის ჩემპიონთა თასზე შეხვდებიან ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკის „პლეიხონკას“.

გუშინ მოსკოვის „დინამომ“ ორი ქულის სხეაობით — 83:81 დამარცხა რიგის სკა.

ᲰᲘᲓᲚᲘᲐ. მინსკში დამთავრდა „ბურევესტნიკის“ პირად-გუნდური პირველობა. თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდების (1957-1959 წლებში დაბადებულნი) შორის. ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა და ოქროს მედლები მოიპოვეს ზ. შუკაკიძემ, ვ. ცქიტიშვილმა და ზ. ავლოხაშვილმა. ბრინჯაოს მედალი ერგო მ. იჩკიტიძეს. პირველი ადგილი წილად ხვდა მასპინძლებს — ბელორუსებს, მეორე იყო რუსეთის ფედერაციის გუნდი, ქართველმა სტუდენტებმა მესამე გუნდური ადგილი მოიპოვეს.

რედაქტორი
დ. მეჭედლიშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ჰ. ძაუპტმანი — „მზის ჩასვლის წინ“ მოსკოვის მცირე აკადემიური თეატრის სპექტაკლი (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.50 — ბავშვებისათვის — სატელევიზიო ფილმი, 18.15 — ჩვენი კომენტარი, 18.25 — განცხადებები, 18.30 — მოსწავლეთათვის — გერმანული ენა, 19.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „სტუდენტურ მერიდიანზე“, 19.30 — „ჩვენი ბიოგრაფია. 1919 წელი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.45 — „მომმე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.15 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — „თეატრო, მასწავლებელი და მოსწავლეები“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

18.05 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი „მაუგლი“, 20.10 — ო. რომანიჩეკო — „მომავლის მხარდამხარ“ — „ამბავი იაკობ გოგებაშვილისა“ ფერადი გამოსახულებით, 21.20 — განცხადებები, 21.25 — დოკუმენტური ფილმი, 22.10 — მხატვრული ფილმი „ეფიმ კალინიკოვის ცისმარე დღე“.

ᲝᲠᲨᲐᲑᲘᲗ

18 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

06.35 — ქართული კამერული მუსიკა, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.00 გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — მსუბუქი მუსიკა, 09.25 — რუსეთის ფედერაციული გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ა. ბუკია — ნაწყვეტები ოპერიდან „არსენა“, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“ — საუბარი „პარტიული ორგანიზაცია მასების შემოქმედებითი აქტივობის ორგანიზატორი“, 12.15 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — მღერის მ. მაგომაევი, 12.50 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო პიესები, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწვნავე სტატია, 14.20 — სსრ კავშირის დიდი თეატრის მევიოლინეთა ანსამბლის კონცერტი, 15.00 — კონცერტი გ. ლისტოვისა და ბ. მოკროუსოვის ნაწარმოებებიდან, 17.15 — ნ. მამისაშვილი — კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 17.35 — მოსწავლეთათვის „წიგნის თარო“, 19.00 — „მოლიონთა ლენინური უნივერსიტეტი“, 19.20 — ი. საულსკი — ფანტაზია ი. დუნაევსკის სიმღერების თემებზე, 19.40 — „ხვალ სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დღეა“ — გადაცემაში მონაწილეობს სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების პოლიტსამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი პ. გორჩაკოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.30 — ა. მაჭავარიანი — სავიოლინო კონცერტი, 21.00 — „ძალისპირული“, 21.10 — „ამბის მაგისტრალი“, 21.40 — ჯ. ვერდი — ნაწყვეტები ოპერა „ტრუბადურიდან“, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

ᲗᲔᲐᲢᲠᲝᲔᲑᲘ

17 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲡᲐᲑᲐᲠᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲪᲕᲚᲘ; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ᲙᲘᲠᲘᲚᲔ ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕᲘᲡ-ᲫᲔ (მე-100 წარმოდგენა).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲠ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ, ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲒᲠ. ᲛᲣᲮᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲰᲔᲛᲐᲢᲝᲚᲝ�გᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐᲡᲯᲘᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲓᲐᲡᲯᲘᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ Დ